ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს №33 (1663) 8-11 მაისი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

## "ЭТО Я, ЭДИЧКА"



მესამე გვერდი



## მოსალოდნელია მორიგი ტერაქტი პრეზიდენტის წინააღმდეგ

მეორე გვერდი



Photo News



მეექვსე გვერდი

## მარცხენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარჯვენა...



Photo

## სოციალისტთა რისხვა დაატყდება თავს, ვინც არჩევნების გაყალბებას შეეცდება

მეორე გვერდი

## პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიო-ინტერვიუზე

მეოთხე გვერდი



## არტისტობა უნიღბოდ შეუძლებელია

მეცხრე გვერდი

# მოსალოდნელია მორიგი ტერაქტი პრეზიდენტის წინააღმდეგ

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მოულოდნელმა საკადრო ცვლილებებმა საზოგადოების ერთ ნაწილში გარკვეული გაკვირვება გამოიწვია. თუმცა ეს ბუნებრივი რეაქცია არ უნდა იყოს, მით უმეტეს, დღევანდელობის ფონზე. ამ ბოლო დროს ხომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალჩინოსანთა უჩვეულო და მოულოდნელი „საგაზაფხულო ფოთოლცვენა" დაიწყო, გრძელდება და თითქმის პიკს მიაღწია.

ედპ-ს ლიდერმა ქალბატონმა ირინა სარიშვილმა ჩვენს შეკითხვაზე, გარკვეულწილად თქვენ ხომ არ უნდა გიმადლოდეთ ამ საკადრო ცვლილებებს, განაცხადა, რომ იგი მინისტრის მოადგილეებს „კანარეიკებში" ქვიშას არ უყრის. რაც შეეხება თარგამაძის მიერ გატარებულ ცვლილებებს, მისი აზრით, ეს ბუნებრივი იყო, რადგან ყველა პირველი პირი, რომელსაც საკუთარი პასუხისმგებლობის საკითხის დღის წესრიგში დაყენება ემუქრება, შეეცდება მოადგილეებზე, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსებზე გადაიტანოს აქცენტი. მისთვის, უბრალოდ, პრეზიდენტის პოზიციაა გაუგებარი.



სარიშვილი მიესალმება იმას, თუ შევარდნაძე მინისტრის მოადგილეებს გაათავისუფლებს და შემდეგ მათ ხელმძღვანელებსაც მიაყოლებს ზედ. ამის საწინააღმდეგო არაფერი გააჩნია. ამასთანავე თარგამაძის ხმამაღალი განცხადება იმის შესახებ, რომ მას აქვს მორალური უფლება დარჩეს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე, სასაცილოდ ეჩვენება. მისი აზრით, ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი უხანგრძლივებს თარგამაძეს მინისტრის პოსტზე ყოფნას, ამით თვითონ არაფერს არ კარგავს. ისევე, როგორც არაფერს არ ნიშნავს ხანგრძლივი საუბრები შევარდნაძესა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის. ასეთი დიალოგები თავის დროზე ბევრი ჰქონია ჯაბა იოსელიანთანაც. მით უმეტეს, სანამ იოსელიანს დააპატიმრებდნენ, შევარდნაძემ ერთ-ერთ ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ იგი მისი მეგობარია და ვერც კი წარმოუდგენია ციხეში, მაგრამ მალე ეს მთელმა ქვეყანამ წარმოიდგინა და თანაც ძალიან ადვილად.

ქალბატონ ირინას ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ მალე თარგამაძესაც იგივე ბედი ეწევა, რაც დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებს: „მე იგივეს ვამბობდი კვირაიაზეც და როგორც ხედავთ, მისი კაბინეტი დღეს დალუქულია". ჩვენს პრეზიდენტს საკმაოდ ორიგინალური ხედვა აქვს და დღეს რომ ჰგონია ჩქარი ტემპებით აკეთებს ყველაფერს, ეს ქვეყნისათვის ძალიან შენელებულ ტემპს წარმოადგენს. ამიტომ, საინტერესოა, რამდენად დაემთხვევა ერთმანეთს საზოგადო და სუბიექტური გაგება" — აცხადებს ედპ-ს ლიდერი.

სარიშვილს წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ ამ საკადრო ცვლილებებმა რაიმე შედეგი გამოიღოს და თან მისთვის გაუგებარია, რატომ აღმოჩნდა ბატონი დემურ მიქაძე მოხსნილთა შორის. „ის ბრალდება, რომელიც მინისტრმა წაუყენა მას, ცოტა არ იყოს, სამარცხვინოა, ე. ი. მიქაძე ოპერატიული მორიგე ყოფილა იმ დღეს, როდესაც პრეზიდენტზე თავდასხმა მოხდა. ცოტა უხერხულობაც უნდა იგრძნო, როდესაც ამის გამო, საკუთარ მოადგილეს აკისრებ პასუხისმგებლობას, მაშინ როცა შენ თვითონვე ნახევარი საათის შემდეგ ძლივს გიპოვეს" — მიაჩნია ირინა სარიშვილი-ჭანტურიას.

ქალბატონ ელენე თევდორაძის აზრით, შსს-ში საკადრო ცვლილებები გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, იმიტომ, რომ 9 თებერვლის ტერორისტული აქტის ანალიზს — იქ იმდენად ნათელი იყო ყველაფერი, ორი თვე ნამდვილად არ სჭირდებოდა.

რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხს, უნდა ითქვას, რომ ნამდვილად სამართლიანი იყო, რადგან მან რამდენიმე მძიმე შედეგებით დამთავრებული ოპერაცია ჩაატარა. მას აინტერესებს ერთი გარემოება — სანამ მძიმე შედეგები არ დადგება, ორი, სამი და ა. შ. წარუმატებელი ოპერაცია არ დაგროვდება, რასაც, ბუნებრივია, ადამიანთა მსხვერპლიც მოსდევს, საკადრო ცვლილებები არ უნდა გავატაროთ?

ქალბატონ ელენეს მიაჩნია, რომ იგი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, თარგამაძის ადგილზე რომ იყოს, რადგან „როდესაც ჩემს უწყებაში რაღაც თავის დონეზე არ სრულდება და ეს მოადგილეებსაც ეხებათ, მე იქ არაფერი მესაქმება".

ბოლოს ქალბატონმა ელენე თევდორაძემ, ერთხელ, მის მიერ ხუმრობით ნათქვამი სიტყვები გაიხსენა — ხომ არ აჯობებდა შინაგან საქმეთა მინისტრად მე დაგენიშნეთო. „ყოველ შემთხვევაში, მეყოფოდა ძალა, იგივე შემთხვევაში, როგორშიც თარგამაძეა, გადავმდგარიყავი, მეორეც, მე ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ ძალოვან სტრუქტურებში კორუფცია აღმოფხვრილიყო, რადგან რთულია, გყავდეს კორუმპირებული ჩინოვნიკები და ებრძოლო ტერორიზმს. ერთსაც გეტყვით, ჩემი ინფორმაციით მოსალოდნელია მორიგი ტერორისტული აქტი პრეზიდენტის წინააღმდეგ. შეიძლება ეს აქტი გაცილებით უფრო მძიმე შედეგით დასრულდეს, ვიდრე დანარჩენი აქტები, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ინფორმაციით შემოვიფარგლები. ისე კი, გაცილებით მეტი ვიცი". მე ადრეც ვამბობდი, პრეზიდენტის წინააღმდეგ მესამედ მოეწყობა ტერაქტი და თანაც საქართველოს საზღვრებს გარეთ-მეთქი, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ძალოვანები ჩემგან ილებენ ინფორმაციას მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ტელეფონით დავუკავშირდით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილეს ბატონ ემზარ ბაბუციძეს და ვკითხეთ: არსებობდა თუ არა აღნიშნული ფაქტის გარშემო სამინისტროში ოპერატიული ინფორმაცია.




ეტყობა, უშიშროების თანამშრომლები შეეცადნენ თავად მიეღოთ ინფორმაცია და ჩვენს შეკითხვას შეკითხვითვე უპასუხეს — რას გულისხმობთ ტერაქტის განხორციელებაში? ჩვენ იძულებული გავხდით ჩვენის მხრივ განმარტება მიგვეცა, თუ რას ნიშნავდა ტერორისტული აქტის მოწყობა. ტერორისტული აქტი არის ის, როდესაც, პრეზიდენტს ან იარაღით დახვდება და ესვრის ვინმე, ან კიდევ ფანჯარას ქვიშას ჩაუყრის. ბატონმა ემზარმა განაცხადა, რომ უშიშროების სამინისტროს ყოველთვის გააჩნია რაღაც ინფორმაციები, რომლის ირგვლივაც მაქსიმალურ მუშაობას აწარმოებს. მისი თქმით, ხშირია ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებები: „თუ ვინმეს პრეზიდენტზე თავდასხმის შესახებ ინფორმაცია გააჩნია, უკეთესი იქნება, ჩვენთან მოვიდეს და დაგვეხმაროს სახელმწიფოს უშიშროების ინტერესების განხორციელებაში, და არა პრესის ფურცლებზე აკეთოს პროვოკაციული განცხადება".

ჩვენ კი ჩვენის მხრივ დავსძენთ, როდესაც იმხელა ორგანიზაციას, როგორიც უშიშროების სამინისტროა, არ გააჩნია ინფორმაცია მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, საინტერესოა, საიდან აღწევს იგი ზოგიერთი პოლიტიკოსის ყურამდე. ფაქტი ჯიუტია: ან გააჩნია ინფორმაცია და რატომღაც თავს არიდებს საეჭვო წყარო თვითო იმ პოლიტიკოსებში ეძებოს, რომლისგანაც ინფორმაცია მოდის. ე. ი. ამ შემთხვევაშიც ძალოვან სტრუქტურებს უნდა ვუსაყვედუროთ არაოპერატიული მუშაობისათვის.

და, ბოლოს, ღმერთმა ყველა დაგიფაროთ უბედურებისაგან, მაგრამ თუ მართლაც მორიგი ტერორისტული აქტი მოეწყო ჩვენს „გიორგი აუფეთქებლად" წოდებულ პრეზიდენტზე და იგი კვლავ ცოცხალი დარჩა, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ისედაც დიდ რეიტინგს უფრო გაიზრდის. ალბათ, საკადრო ცვლილებებს მინისტრების დონეზე ამის შემდეგ უკვე სწრაფი ტემპებით უნდა ველოდოთ.

**კობა კაპანაძე**

# სოციალისტთა რისხვა დაატყდება თავს, ვინც არჩევნების გაყალბებას შეეცდება

ჩვენს მიერ შემოთავაზებული გამჭვირვალე საარჩევნო ყუთები, ბევრმა საშარჟოდ გამოიყენაო, გულდაწყვეტით ბრძანა მაჟორიტარმა იური ჩიხრაძემ, მაგრამ სოციალისტებს იმაში მაინც დავეთანხმოთ, რომ მოქ. კავშირი არც მეტი, არც ნაკლები ცოდვიანთა კავშირია. სამაგიეროდ, დემოკრატიისა და სამართლიანობის სადარაჯოზე მტკიცედ დგას სოციალისტური პარტია და ჰპირდება საქართველოს, რომ მათი ბრწყინვალე გამოგონების წყალობით არცერთი ბიულეტენი არ გაყალბდება, თუმცა იდეა მიკერძოებად რომ არ ჩავთვალოთ, იმასაც აღნიშნავენ, რომ არჩევნების გაყალბებას სხვა პარტიებიც უფრთხიან. ეს უკანასკნელი ალბათ, ის ოპოზიციური განწყობის კატეგორიაა, რომელთაც ქვეყნის მართვის სადავეები უნიათობის გამო ხელში ვერ მოიგდეს.




სოციალისტების აღშფოთება ბუნებრივიცაა ცსკ-ს (ცენტრალური საარჩევნო კომისია) და მისი თავმჯდომარის მიმართ. ლაგოდეხის რაიონში საოლქო კომიტეტში ისეთი დარღვევები მომხდარა, რომ სოციალისტების გენერალურ მდივანს თემურ გამცემლიძეს გაოცება-მრისხანების მოზღვავებულმა გრძნობამ ჯერ კიდევ ვერ გაუარა. „საქმის" მოკლე შინაარსი კი ასეთია: საოლქო კომიტეტმა პარტიის მიერ ბეჭედდასმული ფურცელი არ მიიღო მაშინ, როცა კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირების გაწვევის უფლება აქვს პარტიას, რომელმაც იგი კომისიაში დანიშნა. ასევე პარტიას შეუძლია ერთი პიროვნების მეორეთი შეცვლა. ეს უკანასკნელი არ შეასრულა საარჩევნო კომიტეტმა, ვინაიდან მას წინა დღით დანიშნული კაცი აწყობდა და მისი შეცვლა არაფრით არ სურდა. ლაგოდეხში აღმოჩენილმა ასეთმა კანონდარღვევამ, ბუნებრივია, წონასწორობიდან გამოიყვანეს, კანონის უზენაესობის დასამკვიდრებლად ბრძოლაში დამაშვრალი სოციალისტები და კომიტეტს ორსაათიანი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის გაკვეთილიც ჩაუტარეს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი... კომიტეტის თავმჯდომარემ გულუბრყვილოდ უპასუხა: „მართალი ბრძანდებით, მაგრამ რა ვქნა, რომ ცსკ-დან არის დარეკილიო. ეს კანონის უგულებელყოფაა, რას ჰქვია „მაგრამ", სიტყვა „მაგრამ" კანონს არ გააჩნია, ისე, როგორც იგი არ არსებობს ბიბლიაში" — აცხადებს იურისტი გამცემლიძე.

კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე, „სოციალისტებმა" ბლოკ „თანადგომასაც" თანადგომა გამოუცხადეს. გაირკვა, რომ ბლოკს კომიტეტში განცხადება შეუტანია მისი კანდიდატურის შეცვლის თაობაზე, მაგრამ მხარდაჭერას ვერ ელირსნენ. „ტკბილი" წარსულის გასახსენებლად, საჭიროა მხოლოდ მოგონება იმისა, რომ „თანადგომას" ერთ დროს ვახტანგ გოგუაძე ხელმძღვანელობდა, დღეს კი მის პოსტზე კალანდია იმყოფება.

სოციალისტთა „მთლა უფროსი" — ვახტანგ რჩეულიშვილი ლაგოდეხის ამბებმა ისე გაამწარა, რომ დაფარვა აღარ შეუძლია — დღეს ეს რაიონი მაჩვენებელია იმისა, თუ რომელი პარტიები ცდილობენ ერთმანეთის დაცვას, ამ ულმერთო მოქკავშირელებისთვის ხომ კანონი არ არსებობს. ისინი მოხერხებულად იყენებენ მინისტრთა პარტიებს, მოიგებენ არჩევნებში, მერე მოიშორებენ თავიდან გამოუყენებელ მინისტრს. თავის დროზე ასე დაემართა კვირაიასაც. განტევების ვაცად, სოციალისტების პროგნოზის მიხედვით, ალბათ, მალე ბაკურ გულუას მოიხმარენ. რაც შეეხება ედპ-ს, უნდა თამამად ითქვას, მან საარჩევნო ყუთები მოქ-კავშირელებთან ერთად გაიყო. შემდეგ ასე გაიყოფენ თავმჯდომარეობასაც და მოადგილეობასაც, მაგრამ რჩეულიშვილი არავის დაავიწყდეს, სოციალისტთა კანდიდატს, ვალერი ბაქრაძეს, რომ ლაგოდეხში პრობლემები არ შეექმნას, მთელი სოც. არმია იქ მოახდენს დისლოკაციას, დაცვის გაძლიერების მიზნით კი, თითო საარჩევნო ყუთთან თითო ევროპელი დამკვირვებელი დადგება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჟვანიას აჩრდილიც იტრიალებს საარჩევნო ყუთთან, სოციალისტთა კანდიდატი მაინც გავა ლაგოდეხში.

გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვახტანგ რჩეულიშვილი ყველაფრის მიუხედავად, თავს დაკარგული თაობის წარმომადგენლად თვლის. ხელისუფლების სათავეში ან 25-30 წლის ბიჭები არიან, ან შევარდნაძისნაირი ჭარმაგი მოხუცები. საშუალო ასაკის ვაჟკაცები კი მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თუ მოხვდებიან.

პარტიის ლიდერი დეპუტატობის კანდიდატ ბაქრაძეს კარგ დახასიათებას აძლევს. რჩეულიშვილის თქმით, მას ლაგოდეხში ბევრი მადლიანი საქმე აქვს გაკეთებული, რის გამოც თურმე ძალიან უყვართ და აფასებენ. ვნახოთ, რას იზამს ეს ხალხი, რომელიც ობიექტური გრძნობების გამოხატვასთან ერთად, არც იმას მალავს, რომ მმართველი პარტიის ანგარიშსწორების ძალიან ეშინიათ.

სოციალისტები კი აიმედებენ და ამშვიდებენ ლაგოდეხელებს, ამაზე მეტი რაღა უნდა დაგემართოთო, მაგრამ ვნახოთ...

ლაგოდეხის არჩევნები ხომ გენერალური რეპეტიციაა, წინ მომავალი — დიდი არჩევნები გველის!

# ივანე მაჩაბელი მთაწმინდის პანთეონში ჰპოვებს განსასვენებელს

ამა წლის 26 ივნისს ასი წელი სრულდება, რაც ქართველ ერს საკუთარ სამშობლოში, საკუთარ მიწაზე უკვალოდ გაუქრა უდიდესი საზოგადო მოღვაწე, შექსპირის ნაწარმოებების მთარგმნელი და სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ქართული ბუნების „წყალობით" სამოღვაწეო ასპარეზიდან გარიყული, სულიერ და ფიზიკურ დეპრესიაში ჩავარდნილი ივანე მაჩაბელი.

ივ. მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარემ, ბ-ნმა გურამ შარაძემ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს წარმოგვიდგინა ივ. მაჩაბლის ფიზიკური არსებობის დასტური — 1897 წლის 19 ივნისს (დაკარგვამდე ერთი წლითა და ერთი კვირით ადრე) გაკეთებული ოპერაციის შედეგად ამოღებული ნეკნის ძვლები. კოლოფს, სადაც სხეულის ნაწილი ინახება, თან ახლავს მისი მეუღლის, ქ-ნი ტასოს ხელნაწერი, რომელზეც სამხედრო ექიმის ვოინოს ვინაობა და ოპერაციის თარიღია აღნიშნული.




დიდი ადამიანების სხეულის ნაწილების სიმბოლურად დაკრძალვა რომ მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია, ამის დასტურად მარტო შოპენის მაგალითიც კმარა. საფრანგეთში გარდაცვლილი პოლონელი მაესტროს გული დღეს ვარშავის ერთ-ერთი ეკლესიის სვეტში გამოღებულ ნიშშია დასვენებული და წმინდა ადგილად ითვლება.

— საიუბილეო კომიტეტს დაგეგმილი გვაქვს 26 ივნისს, ივანე მაჩაბლის დაკარგვის კალენდარულ დღეს, მთაწმინდის პანთეონში, ერთ-ერთ კლდეში გამოვჭრათ ნიშა, სადაც მოთავსდება ივანე მაჩაბლის ძვლები. მწერალთა კავშირში მოეწყობა სამოქალაქო პანაშვიდი და პროცესია. ეს აქტი იქნება გამოხატვა ივანე მაჩაბლის და მისი დაკარგული საფლავის პატივისცემისა, — ბრძანა ბ-ნმა გურამმა.

პრესკონფერენციაზე გურამ შარაძემ ჟენევაში ვიზიტის შესახებაც გვამცნო. გაეროს წინამორბედი ერთა ლიგა, რომელიც 1919 წელს იქნა დაარსებული შვეიცარიაში, თავის რიგებში აწევრიანებდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკასაც. დღეს აღმოჩენილია ხარიტონ შავიშვილის 50 პირადი არქივი, რომელიც ყუთისაგან შედგება და ინახება ჟენევის ერთა ლიგის ბიბლიოთეკაში (შავიშვილი ელჩად იყო დანიშნული). მიღწეულია შეთანხმება მის ჩამოტანაზე. 26 მაისამდე იგი შეუერთდება ჰარვარდიდან და პარიზიდან ჩამოტანილ ეროვნულ არქივს, როგორც მისი ორგანული ნაწილი.

**ხათუნა ხატიაშვილი**

## „გამსახურდია გაექცა არა აჯანყებულებს, არამედ „გრუ"-ს სპეცდაჯგუფებებს"

# "Это я, Эдичка"

*გაგრძელება, დასაწყისი „საქართველო" №30*



ედუარდ ლიმონოვის პატარა ყვითელი წიგნის ეს სათაური ზედმიწევნით უხდება შემდგომი მოვლენების ანალიზს, რომლებიც საქართველოში დატრიალდა. ე. ლიმონოვის გმირი უცხოეთში, მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდა და ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი, მორალური და არც თუ მორალური საშუალებით ცდილობს ზევითკენ გზის გაკაფვას. ლიმონოვის მოთხრობის პერსონაჟისაგან განსხვავებით, ე. შევარდნაძემ ეს ნაწილობრივ შეძლო.

მისი მცდელობა რუსეთის პოლიტიკურ ოლიმპზე დაბრუნებისა მარცხით დამთავრდა. ძალებმა, რომლებზედაც იგი დაყრდნობას ცდილობდა, გამანადგურებელი დამარცხება განიცადეს ხელისუფლებისთვის ბრძოლაში. მათ ბრძოლა წააგეს მძლავრ ზეწოლასთან ყოფილი პარტაპარატის მხრიდან, რომელსაც უკვე მოესწრო ორ ურთიერთმეტოქე ჯგუფად ჩამოყალიბება და რომლის თვალშიც შევარდნაძე იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვემოდან დაწინაურებული კაცი, პარვენიუ, ისიც — „ნაცმენი".

მისი ვარსკვლავი რუსეთის პოლიტიკურ ცაზე ჩასვენებული იყო. საერთაშორისო პოლიტიკურ სტრუქტურებში გაძრომის არანაირი პერსპექტივა მას არ ჰქონდა. დასავლეთის ელიტა თუმც კი მისი მადლიერი იყო კარგად შესრულებული მუშაობისათვის, მაგრამ მისი ამბიციების დაკმაყოფილებას ფიქრობდა. არც თავისი ჩრდილო კავკასიელი ორეულის დოკუ ზავგაევის ბედი ხიბლავდა, რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე რომ იყო საწყლად მიყუჟული. ისიც კი საკითხავი გახლავთ, მისცემდნენ თუ არა მას ამგვარ სინეკურას. თუკი გავითვალისწინებთ იმ ზოგადად ნეგატიურ დამოკიდებულებას მისდამი, რაც რუსეთის არმიაში და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში სუფევდა.

რაკი ბუნებით უგუნური კაცი არ იყო, იგი მალე მიხვდა, რომ დიდი პოლიტიკური კონფლიქტის დაწყებიდანვე კვლავ ამოტივტივების საშუალება მას საქართველოშიღა რჩებოდა. მით უმეტეს, რომ საქართველოში კონფლიქტის დაწყებიდანვე სულ უფრო ძლიერდებოდა შევარდნაძის დაბრუნებისკენ მიმართული კამპანია. ზოგჯერ ხდებოდა, რომ ამ სალამურს ერთდროულად უბერავდნენ ერთურთისაგან ძირფესვიანად განსხვავებული ძალები — ერთნი თავისი პოლიტიკური აზროვნების უსუსურობის გამო, მეორენი — თავისი ინტერესების რეალიზაციისა და საქართველოს მომავალი გაძარცვის იმედით.

ამ კამპანიაში წამომწყების როლი რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და მათ ზურგს უკან მდგომ სპეცსამსახურებს ეკუთვნოდათ. 1990 წლიდან რუსეთის ტელევიზიამ და პრესამ დაიწყო მეთოდური და მიზანმიმართული ლაშქრობა საქართველოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ამისათვის მათ გამოიყენეს ამ ხელმძღვანელობის ყველა ნამდვილი თუ მოგონილი ხარვეზი, შეცდომა თუ პირდაპირი დანაშაული, რაც იმით იყო გაადვილებული, რომ თვით გამსახურდია და მისი გარემოცვა ამის საბაბს არც თუ იშვიათად იძლეოდნენ.

ძალიან წიგნიერად გათამაშდა 1991 წელს დამნაშავე ელემენტების კარტი ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის მეთაურობით. ამაში გამორჩეულ წარმატებას მიაღწიეს რუსეთში გამომავალმა „ნეზავისიმაია გაზეტამ", „იზვესტიამ", „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ" და განსაკუთრებით „ოგონიოკმა", რომელმაც ვინმე ალა ბოსარტის მიერ შეკვეთით დაწერილი რეპორტაჟების სერია დაბეჭდა „მხედრიონისა" და „გვარდიის" მორალურ და სხვა ღირსებათა ხოტბითა და შევარდნაძის ლამის მითოლოგიზირებული შეფასებებით.

1991 წლის დამლევიდან საქართველოს ხალხი, კრიმინალური განუკითხაობის პირობებში, რომელსაც იგი გულუბრყვილოდ უკავშირებდა ნახევრად უმოქმედო ან სულაც პარალიზებული მთავრობის უუნარობას, ადვილად გახდა ამ პროპაგანდისტული კამპანიის მსხვერპლი.

როგორც უკვე გამოთვლილი ჰქონდათ ანალიტიკოსებს, „ლათინურამერიკული" გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულ კრიმინალურსა და ნახევრადკრიმინალურ ელემენტებს არ აღმოაჩნდათ სახელმწიფოს მართვის უნარი, ერთმანეთს მწვავედ დაპირისპირებულმა იოსელიანმა, კიტოვანმა და სიგუამ თავისი სრული არაკომპეტენტურობით სახელმწიფო მართვის ყველა სფეროში სახელმწიფო, პრაქტიკულად, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ კოლაფსამდე მიიყვანეს. როგორც დღეს სიგუა ამტკიცებს. 1992 წლის დასაწყისში „პირველი ვიოლინოს" ანუ იოსელიანის მოთხოვნით საქართველოში დაბრუნდა შევარდნაძე და მაშინვე გახდა ამ კრიმინალურ-ნომენკლატურული კვარტეტის ჯერ არაოფიციალური, ხოლო შემდეგ — ოფიციალური ლიდერი.

ახლავე აღვნიშნავ, რომ ნომენკლატურისა და კრიმინალიტეტის ეს შეზრდა პირველი არ იყო ყოფილ სსრკ-ში. მაგალითის მიმცემი, როგორც ყოველთვის, იყო რუსეთი. ჯერ კიდევ 1991 წელს ელცინმა ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივი და საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცა ცნობილი კანონიერი ქურდი „პუდელი", ერისკაცობაში — ვლადიმირ პადეევი, რომელიც დღესაც ამ თანამდებობაზეა.

იმის გასაგებად, თუ რა აკავშირებს კრიმინალიტეტსა და ნომენკლატურას, საჭიროა მცირედი ექსკურსი ბოლშევიზმ-კომუნიზმის ისტორიაში. ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების აღებისთანავე ამ უკანასკნელის გობს მიადგა მასთან მორგების მაძიებელთა მთელი არმია. ბოლშევიზმის აბსოლუტური ამორალიზმი იმთავითვე ახლო იყო კრიმინალთა ფსიქოლოგიასთან, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ 70-იანი წლებისათვის ქვეყნის ხელისუფლების სათავეში სულ ისეთი ელემენტი იდგა, რომელიც თავისი არსით კრიმინალური იყო.

პარტნომენკლატურა ძალიან მოგვაგონებდა მაფიის მეთაურებს. იგივე მიდრეკილება კულტურისა და კარგი. მანერებისადმი და ზნეობრივ პრინციპთა იგივე პირწმინდა არარსებობა. ამგვარი „სპეცშერჩევის" მიზეზი მხოლოდ ის კი არ იყო, რომ კომპარტიის ნომენკლატურაში ბრწყინვალე კარიერის მიღწევა მხოლოდ გარკვეული ფსიქოლოგიური და მორალური, უფრო ზუსტად — ამორალური წყობის ადამიანებს შეეძლოთ, არამედ უმთავრესად ის, რომ თვით სპეცშერჩევის ეს სისტემა იყო „უარყოფითი". „პოლიტიკური" კარიერის პირველსავე საფეხურებზე ხდებოდა იმ ადამიანთა „წუნში" გაშვება და მოშორება, ვისაც ზნეობრივი წესიერების ნიშან-წყალი ეტყობოდა. ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისკენ გაღწევას მხოლოდ ზნეობრივი ლუმპენები ახერხებდნენ — დიდწილად მცირედ განათლებულები, მაგრამ დიპლომიანები და ხშირად ხარისხიანებიც კი. სამწუხაროდ, ამ კარიერულმა აღმასვლამ გამონაკლისი არ იცოდა.

ნომენკლატურის მორალის ერთ-ერთი თავისებურება იყო არაჩვეულებრივი ტაქტიკური პლასტიურობა. თუ ხელსაყრელი იყო, ეს ადამიანები საოცრად ადვილად ამბობდნენ უარს იმაზე, რასაც ჯერ კიდევ გუშინ წმინდად რაცხდნენ, და იმის ქებას იწყებდნენ, რასაც წინადღით აგინებდნენ. მათს „ახლებურ ენაზე" ზნეობრივმა და ეთიკურმა კატეგორიებმა უცბად საპირისპირო მნიშვნელობა მიიღო. არა „უტიფრობა", არამედ „მჭევრმეტყველება", არა „კონკურენტის ლიკვიდაცია", არამედ „კორუფციასთან ბრძოლა" და ა. შ.

ზოგადად, ეს ისეთი მორალური თავაშვებულობისა და მდაბალი ინტერესების, ისეთი დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობისა და მაღალი თანამდებობის წყურვილის გარემო იყო, რომ მასში ადგილი არ ურჩებოდა არაფერს სხვას გარდა ინტრიგებისა, რომლებიც არანაირ საშუალებას არ ერიდება. იდეა და იდეალები კი იმ ჯოგის კუთვნილებადღა დარჩა, ვისაც ისინი თავის სიტყვებში „ხალხს" უწოდებდნენ.

ასეთი გახლავთ ის გარემო, რომელიც შევარდნაძის საყრდენი გახდა. ამასთან, ეს ის გარემოა, რომელიც ყველაზე მეტად ეთანადება მისსავე წარმოდგენებს, ზნე-ჩვეულებებს, შეხედულებებსა და ტრადიციებს. ამ გარემოში იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე დახელოვნებული, ხერხიანი, ცბიერი და გამბედავი, უეჭველია, რომ იგიც, ისევე როგორც გორბაჩოვი, ელცინი, იაკოვლევი, პატიაშვილი და სხვანი მოწადინებულნი იყვნენ ბოლოსდაბოლოს მშვიდი რესპექტაბელობისათვის მიეღწიათ და თავი დაეღწიათ ყველას წინააღმდეგ ყველას ბრძოლის ამ მდგომარეობისათვის. ყოველი მაფიოზიც ხომ იმას ოცნებობს, მოიპარავს რა უკანასკნელ მილიონს, თავისი თავის ლეგალიზაცია მოახდინოს და წესიერი ცხოვრებით იცხოვროს. ძნელია ვიმსჯელოთ, რამდენად რეალურია ეს. მაგრამ ამგვარი გარდასახვის მაგალითებს მორგანისა და როტშილდის აქეთ მაინცდამაინც ვერ ვხედავთ.

რაკი ეს ყოველივე ვიცით, არ უნდა გვიკვირდეს, თუ შევარდნაძე, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ულტრამარქსისტობაში გაატარა, თვალის დახამხამებაში ულტრაკაპიტალისტად იქცევა. რაც უნდა დიდი იყოს ეს გარდატეხა, მას შევარდნაძის სულიერი წყობის შეცვლა არ მოუთხოვია. იგი იყო და დარჩა ორდინარულ კომკავშირულ-მილიციურ ბელადად, რომელმაც თავის გონებაში რამდენიმე ახლად ათვისებული „აბსოლუტური ჭეშმარიტება" ჩადო. შევარდნაძის შემოქმედებითი უუნარობა სრულებით უდავოა. იდეათა იმ წრეში, რომელსაც რეფორმიზმს ვუწოდებთ, არც ერთი მას არ ეკუთვნის. ყველაფერი სრულებით მოურიდებლად ნასესხებია სხვათაგან. უნდა დავსძინოთ, რომ მას არ ეტყობა



ნაკლებლირებულობის კომპლექსის არანაირი ნიშან-წყალი (მარგინალის ჩვეულებრივი თავდაჯერებულობა გახლავთ). ბანალობანი, რომელსაც იგი ჭარბი რაოდენობით წარმოსთქვამს, სწორედ პიროვნების მარგინალობაზე მიუთითებენ, მაგრამ იგი მათ უშუალოდ და დარწმუნებით გამოთქვამს, როგორც უმაღლეს ჭეშმარიტებებს.

შევარდნაძის პოპულარობის პიკი, მისი „ვარსკვლავის საათი" ე. წ. „პერესტროიკის" წლებს დაემთხვა, როცა იგი გორბაჩოვის გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობდა ძველი კომუნისტური სისტემის დანგრევაში. მის „გამბედაობას" მიეწერებოდა იმდროინდელი ხელმძღვანელობის თითქმის ყველა საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯი. დასავლური და საბჭოთა ინფორმაციის საშუალებანი აღტაცებით დნებოდნენ იმ უყოყმანობის შემხედვარენი, რომლითაც ეს ხელმძღვანელობა მიდიოდა ბერლინის კედლის დანგრევაზე, გერმანიის გაერთიანებაზე, პოლონეთში „მრგვალი მაგიდის" გამართვაზე, აღმოსავლეთ ევროპაში რეჟიმის შერბილებაზე, სტრატეგიულ შეიარაღებათა შეკვეცაზე და ა. შ.

სსრკ საგარეო პოლიტიკური უწყების სათავეში მდგარი შევარდნაძე მსოფლიოს ყურადღების ეპიცენტრში აღმოჩნდა. მის ბანალობებს მოწიწებით ისმენდნენ, რადგან მის ზურგს უკან რაკეტებით შეიარაღებული „ზემო ვოლტის" მთელი ძალა იდგა. მათში ეძებდნენ ღრმა აზრს, რომელიც მათში არ იყო. შევარდნაძე, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელობის „ახალ" იდეებს გამოთქვამდა, სავსებით დამოუკიდებელ პოლიტიკურ სიდიდედ ჩანდა. მაგრამ ჰქონდა თუ არ დამოუკიდებლობა ხელქვეით გენსეკს? კომუნისტური დიქტატურის მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ არა შევარდნაძეც, უკეთეს შემთხვევაში, მეორე იყო. მთელი პოლიტიკა გორბაჩოვს მიჰყავდა. „მეორადი კბილანები" ამ პოლიტიკაში მხოლოდ გამჟღერებელ-გამახმაურებელნი იყვნენ. იყო კი თვით ეს პოლიტიკა თავისუფალი?

70-იან წლებში გამოვიდა მოწინააღმდეგის მხარეზე გადასული უშიშროების თანამშრომლის გოლიცინის წიგნი, სადაც ლაპარაკი იყო ერთ განსაკუთრებით საიდუმლო დაგეგმვაზე. ძალიან თანმიმდევრულად მოთხრობილი იყო, როგორ დაეცემა ბერლინის კედელი, როგორ მიეცემა გაერთიანების უფლება გერმანიას, შეიქმნება პოლონეთში „მრგვალი მაგიდა", რეფორმირდება სისტემა აღმოსავლეთ ევროპაში და ა. შ. — ერთი სიტყვით, გადმოცემული იყო „პერესტროიკის" მთელი სცენარი. სუკ-ს დამუშავებული ჰქონდა „პერესტროიკის" მთელი თეორია და პრაქტიკა. საჭირო იყო მხოლოდ შემსრულებელი ადამიანების პოვნა, სასურველი იყო — არაპროფესიონალებისა. ამ დოკუმენტის სათავეში მდგარმა ანდროპოვმა თვითონ შეარჩია მის შემსრულებლად გორბაჩოვი, შემდეგ კი თვით გორბაჩოვმა იპოვა შევარდნაძე, ან კიდევ იგი მას მიაწოდეს „ორგანოებმა", ისევე როგორც ზოგი სხვა ვინმე, იმდროინდელ „ოლიმპიელთაგან". გაუზიარა „ნიშადასმულმა" (გორბაჩოვმა) შევარდნაძეს თავისი მისიის საიდუმლო თუ „ბრმად" გამოიყენა იგი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ „პროცესი წავიდა." დასავლეთში გაიცინეს „გებედან" მორიგი გადამრბენის — გოლიცინის წიგნის „ფანტაზიებზე" (ეს ამბავი ხომ 70-იან წლებში ხდება!). მკითხველს ვთავაზობ, თვით განსაზღვროს, გოლიცინი ახალი ნოსტრადამუსია თუ „მნგრეველთა" გუნდი, რომელსაც სათავეში სტალონე-გორბაჩოვი ედგა, უკვე გამზადებულ სამოქმედო გეგმას იყენებდა.

გოლიცინის წიგნი დღემდე არ გამოუციათ მეორედ. იგი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, მაგრამ თუ გწადიათ, მისი შოვნა შეიძლება. სპეცსამსახურები და მედია მასზე პირში წყალდაგუბებულივით დუმან. და ეს მაშინ, როცა სუკის ჩინოსანთა დიდი მასა გენერალ კალუგინის თამადობით ლუკმა პურის საშოვრად უამრავ „სუკის საიდუმლოს" ამხელს. როგორც ჩანს, დღეს ზოგ ძალიან გავლენიან პირს ძალიან არ უნდა „პერესტროიკის" ფარული მხარისათვის შუქის მიყენება.

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## რადიოსადგური „თავისუფლება" იუწყება:

5 მაისს სასტუმრო „შერატონ-პალასის" საკონფერენციო დარბაზში მუშაობა დაიწყო ტრასეკას მეხუთე ფორუმმა, ფორუმის მონაწილეებისათვის განკუთვნილ მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: ტრასეკას პროექტი არის მაგალითი იმისა, თუ რა ძალუძს რეგიონის სახელმწიფოთა გაერთიანებას ერთი დიდი მიზნის ირგვლივ. ცხადია, რომ ვერც ევროკავშირის ძალისხმევა და ვერც მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა დაინტერესება ვერ გამოიღებდა სასურველ ნაყოფს, რომ არა საერთო მიზნით გაერთიანებული ქვეყნების მტკიცე განზრახვა — დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი დღევანდელ მსოფლიოში. შევარდნაძემ თქვა, რომ ტრასეკას პროექტის შესაძლებლობებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1996 წელს გასულ წელთან შედარებით ტვირთბრუნვა ტრასეკას დერეფანში 20%-ით გაიზარდა, ხოლო 1997 წელს კიდევ 30%-ით. ტვირთბრუნვის ზრდას შესაბამისად ესაჭიროება ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მიმართულებით ევროკავშირმა უკვე გამოჰყო 15 მილიონი ეკიუ სარკინიგზო ბორნის ტერმინალის მშენებლობისათვის ფოთის ნავსადგურში. აღნიშნული პროექტი 1998 წლის ბოლოსათვის დამთავრდება. იგი საშუალებას იძლევა პირდაპირი ტექნოლოგიური სარკინიგზო კავშირი დამყარდეს შავი ზღვის აუზის ნავსადგურებში, — დასძინა საქართველოს პრეზიდენტმა. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მისი ახალი წევრები: უკრაინა და მონღოლეთი, ხოლო დამკვირვებლის სტატუსით — ჩინეთი და მოლდოვა.

□ □ □

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წელი ადამიანის უფლებათა დაცვის წლად გამოცხადდა, მთავრობას არავითარი სერიოზული ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ მიმართულებით და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები, — ნათქვამია საქართველოს არასამთავრობო სამართალდამცავი ორგანოების მიერ ახლახან მიღებულ რეზოლუციაში.

ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის არასამთავრობო სამართალდამცავი ორგანიზაციები წინადადებას იძლევიან მათ წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა მოაწყონ მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. მათი აზრით, კომუნისტური რეჟიმი საქართველოში უნდა გამოცხადდეს დანაშაულებრივ რეჟიმად, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება ვალდებულია დააჩქაროს მიღება ისეთი კანონებისა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის საბოლოო განსაბჭოებას.

ასეთ კანონთა შორის კონფერენციის რეზოლუციაში დასახელებულია, კერძოდ, კანონები ლუსტრაციის შესახებ, არქივების შესახებ, სახელმწიფო სამსახურის შესახებ და სხვა.

□ □ □

თბილისში დროებით მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა 5 მაისს მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში რიჩარდ თომას ჯენკინსი. შეხვედრის დროს თამაზ ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება ესწრაფვიან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას და მზად არიან ნებისმიერი კომპრომისისათვის,




საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლის გარდა.

ინგლისელმა ელჩმა დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა ერთგულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა, მაგრამ აღნიშნა, რომ სეპარატისტთა წინააღმდეგ ძალის გამოყენება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

### პრეზიდენტი მართალს ამბობს

**ეკონომიკის სფეროში**

მსმენელს ახარებს ცნობა საინვესტიციო საბჭოს სხდომის შესახებ, რომელსაც, თურმე, ავალია საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის საერთო დაგეგმვა და კონტროლი მასში სტიქიურობისა და განუკითხაობის აღკვეთის მიზნით. ასევე სასიხარულოა გერმანიასთან ერთად ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის დასაცავად დაგეგმილი ღონისძიებებისა და საქართველოს ქალაქებისათვის მუნიციპალური განვითარების დაფინანსების ამბავი. დასავლეთის დიდი ინტერესის რეალიზაცია ნავობსადენთა გასაყვანად სასიხარულოცაა და გარდუვალიც. ხელისუფლება, რომელიც ამას ხელს არ შეუწყობდა, დღეს საქართველოში ალბათ, ვერც იარსებებდა.

**პოლიტიკის სფეროში**

პრეზიდენტი მართალს ბრძანებს, რომ ბეჭდვითი სიტყვა „ადამიანთა მოდგმის, საკაცობრიო გენიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინებაა" და რომ საქართველოში თავისუფალი პრესა არსებობს. იგი მართლაც არსებობს. მსმენელის ირონიული ჩაღიმება, როცა პრეზიდენტი ბრძანებს, მას თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთო, ამ ფაქტს, როგორც იტყვიან, ბეწვსაც ვერ შეუშლის.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ პრეზიდენტი ცდება ან, მით უმეტეს, რომ იგი რადიკალურად ცდება, როცა ამბობს, „ესენგესადმი" დამოკიდებულება დღეს „რადიკალურად იცვლებაო." თუ ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა ამ კოლონიური ნეოიმპერიალისტური ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელშიც საქართველოს ჩათრევას ამ ხუთი წლის წინ მისი მომხრენი, დღევანდელი პრეზიდენტის ჩათვლით, იმით „ამართლებდნენ", რომ იგი არასიცოცხლისუნარიანი გაერთიანებაა, თავის „ხელჩართულ" ფაზაში შედის. იმპერიალიზმმა ამჯერად ნიღაბი ნაწილობრივ მაინც მოიხსნა და ელცინი დღეს ამ ორგანიზაციაში ერთი მრავალ პრეზიდენტთაგანი კი არ არის, არამედ მისი მეთაურია. (ჯერჯერობით — „მორიგეობის" წესით). ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი რაღაც „საბოლოო კონდიციაზე" ლაპარაკობს, რომელსაც „ესენგემ" უნდა მიაღწიოს, განსაკუთრებით საგანგაშოა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მას საქართველო „საბოლოოდ" ამ ახალი იმპერიის წევრად ესახება?

დიახ, უდღეური „ესენგე" როგორც ჩანს, კბილებით ბრძოლას აპირებს თავისი არსებობისათვის (ვინ-ვის?) და ამ ბრძოლაში არსებობისათვის ქართველი მარიონეტებიც დიდწილად, ალბათ, მის მხარეზე დადგომას აპირებენ.

პრეზიდენტის ინტერვიუშიც, ისევე როგორც სხვა საშუალებებით გავრცელებულ ცნობებში სასიხარულოა ახალი ამბავი თავდაცვის მინისტრად დ. თევზაძის დანიშვნის შესახებ. რამდენად წონადია ის ზოგადი ჩანაფიქრი, რომლის ელემენტიც არის ეს ცვლილება, გამოჩნდება იმის მიხედვით, თუ რამდენად მიეცემა ახალ მინისტრს ძირეული საკადრო ცვლილებების გატარების შესაძლებლობა. მაგრამ კითხვა, რატომ და რა უფლებით მოხდა ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობის შეფერხება არც მეტი, არც ნაკლები ხუთი წლით, თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ვ. ნადიბაიძის გაჩერების შედეგად, მაინც უპასუხოდ რჩება.

### პრეზიდენტი ცდება

**ეკონომიკის დარგში**

ე. წ. „ადმინისტრაციული უტოპიის" კლასიკური ნიმუშია (უკეთეს შემთხვევაში) პრეზიდენტის მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს და როგორ გამოსწორდება მდგომარეობა პენსიებისა და ხელფასების გაცემის საქმეში. თავდაპირველად პრეზიდენტი ეუბნება რადიომსმენელს, რომ საქმე „მთელ რიგ ადმინისტრაციულ ცენტრებში და ასე შემდეგ" უკვე უკეთესობისკენ მიდის. (ამაზე თვით მსმენელიც იმსჯელებს, ამ თემას კომენტარი არ სჭირდება). შემდეგ ბრძანებს, რომ „პენსიებისა და ხელფასების დროულად გაუცემლობა იმასთან არის დაკავშირებული, რომ სათანადოდ ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას ცენტრალური და დარგობრივი სტრუქტურები, რომლებიც მოწოდებული არიან, იმუშაონ ამ საკითხებზე."

ესეც კლასიკური კომუნისტური სტილი გახლავთ გაჭირვების გადაბრალებისა იმ თანამდებობის პირთათვის, ვინც ცუდად მუშაობს. თუ ეს შენიშვნა ამ მოხელეთა მიმართ სამართლიანია, მაშინ არსებობს მდგომარეობის გამოსწორების უებარი წამალი: უნდა ქვეყნდებოდეს, როდის, რომელ რაიონს რა თანხა მიეცა პენსიებისა და ხელფასებისათვის, და მაშინ პენსიონერები თვითონ გათვლიან, მათი ფული სახელმწიფოს არ გაულია, გაილო, მაგრამ „შეჭმულია", თუ გალებულია, მაგრამ ჯერჯერობით „ტრიალებს" მოხელეთა პირად კომერციაში. შემდეგ პრეზიდენტი ჰპირდება ბოროტმოქმედთ, რომ „მოვა დრო", როცა მათ ცოდვები მოეკითხებათ, შემდეგ ირკვევა, რომ დამნაშავენი თურმე, სანეხვეზე კი არ ამოსულან თავისით, სოკოებივით, არამედ ჩვენივე დანიშნულები ყოფილან. (ეს ეხება როგორც „პატარა დიქ-



ტატორებს" ანუ რწმუნებულებს, ისე „ახალგაზრდა მოღვაწეებს, რომლებმაც ჩაიბარეს ფინანსთა სამინისტრო" (რატომ „არ ჩაიბარებდნენ", თუკი ჩააბარეს?). ამას კი მოსდევს, საბოლოოდ, ისევ და ისევ კლასიკური კომუნისტობის დროინდელი დაქადნება, ყველაფერი კარგად იქნებაო. პრეზიდენტი ბრძანებს: „მაინც ვიმედოვნებ, რომ ამ თვალსაზრისით ვითარება საბოლოოდ გამოსწორდება. როგორც გითხარით, ნაწილობრივ გამოსწორდა და სათანადო სამსახურები შესძლებენ საბიუჯეტო სახსრების მოზიდვას პროგნოზით გათვალისწინებული ოდენობით და გამოჩნდება სხვა არასაბიუჯეტო შემოსავალიც."

კითხვა იბადება: როგორ შეძლებენ? ან რატომ შეძლებენ? თუკი პრეზიდენტმა აქამდე ვერ შეძლო პატიოსანი მინისტრების და რწმუნებულების პოვნა ქვეყნის სამსახურში ჩასაყენებლად, რა მანქანებით შეძლებს იგი ამას დღეის იქით? რა გააპატიოსნებს იმ ადამიანებს? ან რა მოუმატებს მათ კვალიფიკაციას? წინა კომენტარებში უკვე არაერთხელ იყო მითითებული დიდ მოხელეთა ამ ძირფესვიანი დეფექტის მიზეზი: ის ადამიანი, რომელიც ქვეყნის სიკეთეს ემსახურება და არა ჯიბეს, დღევანდელ მმართველ გუნდში არ მივა, რადგან ამ გუნდის პოლიტიკა ანტიეროვნულია. ხოლო ვინც მხოლოდ ჯიბისთვის მიდის სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე, ის ვერც მილიონის მოპარვას ცდუნებას გაუძლებს, ვერც ათი ლარისას.

ისევე, როგორც უკლებლივ ყველა რადიოინტერვიუში, პრეზიდენტი ეხება გადასახადების აკრეფით და საბაჟოს მუშაობით მიღებული შემოსავლების ზრდას, რაც მსმენელის დარდიან გულს, როგორც იტყვიან, მალამოდ ედება. ამ ცნობებს ჩვენ ჩვეულებრივ, კომენტარის პირველ სვეტში ვათავსებთ. მაგრამ ამჯერად მეორეში მოვათავსეთ იმიტომ, რომ ამ მართალ რიცხვებთან დაკავშირებულია ტყუილი იმედი, თითქოს ეს მწირი შემოსავალი საქართველოს ღრმა ეკონომიკურ წყლულებს განკურნავს. რით განკურნავს? მილსადენის იმედით გადავიხდით 2 მლრდ. დოლარ ვალს? ვნახოთ რიცხვები. კავკასიის მილსადენით სულ — „ადრეული" და „დიდი" ნავთიანად — პიკის დროს 70 მილიონამდე ტონა ნავთობი იდენს წელიწადში. აქედან დღეს საქართველოს წილად ერთი მეათედია დაგეგმილი. ერთი ტონა ნავთობის გადატუმბვა კასპიის ზღვის შელფიდან ჯეიჰანამდე (ხმელთაშუა ზღვაზე), ანუ ამ გზის ყველაზე შორეულ წერტილამდე, 17 დოლარი ჯდება (თავისი ტექნიკური ხარჯებითურთ), მაშასადამე, საქართველოს წილად, რომელსაც ამ გზის ერთი მეექვსედზე ცოტა ნაკლები ეკუთვნის, ტექნიკური ხარჯებიანად (რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს შემოსავალში არ შედის), სულ 21 მილიონი დოლარი მოდის წელიწადში. ეს თანხა ორი მილიარდი ვალის მომსახურებას (მისი პროცენტის ხდას) ვერ ეყოფა, მით უმეტეს, რომ, სავსებით მეცნიერულ პროგნოზის თანახმად, იგი მთლიანად კორუმპირებული მმართველი გუნდის ჯიბეში დაილექება.

**პოლიტიკის დარგში**

პრეზიდენტი არა თუ ცდება, არამედ ფუნდამენტურად ცდება, თუკი გულწრფელია, მაშინ, როცა ცდილობს რაღაცის საერთო ნიშნები დაინახოს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე ინტეგრაციის (ანუ გამთლიანების) პროცესებს და „ესენგეს" შორის. განსხვავება ორია. ერთი განსხვავება ისაა, რომ მსოფლიოში მიმდინარე „ინტეგრაციები" იმათი შეკავშირებაა, ვინც დღემდე ურთიერთდაცილებულია (მაშასადამე — ერთმანეთისგან თავისუფალიცაა) და ახლაღა ახლოვდება. „ესენგე" კი იმათი კავშირია, ვინც აქამდე ერთი იმპერია იყო, ანუ ერთი ბატონის ხელქვეით მყოფი რამდენიმე ყმა, და ვისაც სრული თავისუფლება ამ ბატონისაგან დღემდე არ ჰღირსებია. ამგვარად, „ევროპის კავშირი" დღეს მიმდინარე პროცესის გაგრძელებაა, „ესენგე" კი — შეფერხება. მეორე განსხვავება ისაა, რომ თავისუფალთა „ინტეგრირება", მაგ. „ევროკავშირის" განმტკიცება ხდება იმ ღირებულის დაცვის და გამაგრების მიზნით, რაც წევრ-ქვეყნებს საერთო აქვს. მაგალითად, ევროპელებს ძალიან ემაყებათ და ძალიან ხელს აძლევთ თავისი ევროპელობა და სწორედ ამ ევროპას ამაგრებენ ისინი თავიანთი „ევროკავშირით" დანარჩენი მსოფლიოს პირისპირ. „ესენგეს" ქვეყნებს კი საერთო არაფერი აქვთ ეროვნული ბატონ-ყმობის ორასწლიანი სამარცხვინო ისტორიის გარდა. პრეზიდენტი ცდება არა მხოლოდ იმაში, რომ ამას ვერ ხედავს, არამედ იმაშიც, რომ თავისი მსმენელები ამის ვერმხედველი ჰგონია. ამიტომ პრეზიდენტის მსჯელობა „მე, მაგალ-

(გაგრძელება მე-5 გვ.)

# ახალი ამბები

## მინისტრის აზრით, ვალების დაფარვა შესაძლებელია

საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში გამართულ თათბირზე ძირითადად ამ უწყების მიერ არსებულ გარღვევაზე ისაუბრეს ცენტრალური ბიუჯეტის გეგმის მიმართ. როგორც თათბირზე აღინიშნა, მიმდინარე თვეში საგადასახადო ინსპექციამ გეგმა უნდა შეასრულოს.

ფინანსთა მინისტრის, მიხეილ ჭკუასელის თქმით, შესაძლოა, ბიუჯეტის განწერა მაისის თვეში 33-34 მლნ ლარს გულისხმობდეს, მაგრამ საგადასახადო ინსპექციას სამინისტროსგან 40 მლნ ლარის შესრულება აქვს დავალებული და პირადად მინისტრი საგადასახადოს მიერ გეგმის შესრულებაზე 40 მლნ-ის ამოღებით იმსჯელებს. მისივე თქმით, გეგმიდან ტერიტორიული ერთეულების დავალება თბილისისა და მსხვილ გადამხდელთა გარდა 12 მლნ-ს შეადგენს, რაც, მინისტრის აზრით, სავსებით დასაძლევია.

როგორც მიხეილ ჭკუასელმა აღნიშნა, ეს პრობლემა მაისში უნდა გადაწყდეს, იმისათვის, რომ ივნისში შესაძლებელი გახდეს ტრანსფერტების გამოყოფა მასწავლებელთა საშვებულებო ხელფასების გასაცემად, რისთვისაც არც კრედიტი და არც ეროვნული ბანკი არ უნდა დასჭირდეთ. „ხელფასების ფული ჩვენ თვითონ უნდა ამოვიღოთ" - აცხადებს მინისტრი.

## პირველ მოადგილედ ჯონი ფირცხალაიშვილი დაინიშნა

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ახალი შტაბის უფროსი ჰყავს. დღეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსად, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ გენერალ-მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი დაინიშნა.

ჯონი ფირცხალაიშვილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს საქართველოს პირველი თავდაცვის მინისტრი იყო. შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკრაინაში იმყოფებოდა და 2 წლის წინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სახმელეთო ჯარების სარდლის თანამდებობაზე მუშაობდა. შემდეგ იგი დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ და ეს თანამდებობა ეჭირა 1997 წლის 25 მაისამდე, რის შემდეგაც მან თვითონ დაწერა პატაკი გადადგომის შესახებ, რისი მიზეზიც 26 მაისის აღლუმის მომზადების პერიოდში ექს-მინისტრ ვარდიკო ნადიბაიძის მიერ მისი სახალხო შეურაცხყოფა გახდა.

თავდაცვის სამინისტროდან წასვლის შემდეგ იგი მუშაობდა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, რეზო ადამიას მრჩევლად. ბოლო 3 თვის განმავლობაში იგი გერმანიაში იმყოფებოდა. როგორც გეა-ს კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა, ფირცხალაიშვილი გუშინ დაბრუნდა გერმანიიდან. დღეს კი ახალმა თავდაცვის მინისტრმა, დავით თევზაძემ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგიის საგანგებოდ მოწვეულ წევრებს ახალი შტაბის უფროსი წარუდგინა. გენერალ-მაიორმა თევზაძემ მადლობა მოუხადა ძველი შტაბის უფროსს, ზურაბ მეფარიშვილს გაწეული მუშაობისათვის და აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტრო საზეიმო ვითარებაში გააცილებს მას პენსიაზე.

გეა

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

(მე-4 გვერდიდან)

ითად, თანამეგობრობა წარმოიდგენია, როგორც მსოფლიო და ევროპული ინტეგრაციული პროცესების ნაწილი, უფრო მეტიც, — ამ ინტეგრაციული პროცესების განმსაზღვრელი ერთ-ერთი რგოლი." — სინამდვილის სრულებით არარეალისტურ სურათს გვისახავს.

ეს — ზოგადად. ახლა ვნახოთ, როგორ აქვს პრეზიდენტს წარმოდგენილი ქვეყანათა კონკრეტული ურთიერთობებ „ესენგეს" შიგნით. პირველ ყოვლისა „ესენგე" მას წარმოდგენილი აქვს როგორც მომწესრიგებელი ძალა ან არბიტრი, რომელიც დარღვეული სამართლიანობის აღსადგენადაა მოწოდებული. იგი ამბობს „თანამეგობრობის ძალზე მნიშვნელოვან, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად მიმაჩნია კონფლიქტების მოწესრიგება და მათი სამართლიანი გადაწყვეტა. არაერთგზის მითქვამს, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც არ ძალუძს სამართლიანი მშვიდობა დაამყაროს კონფლიქტის ზონებში, არავის არ სჭირდება", მაგრამ ეს მსჯელობა ბადებს კითხვას: თუ კონფლიქტების მოგვარება უცხო ქვეყნების არბიტრაჟით უნდა მოხდეს, რატომ უნდა გააკეთონ ეს მეზობლებმა, რომელთაც მოცემულ რეგიონში თავისი კერძო ინტერესები აქვთ, და არა მსოფლიო თანამეგობრობამ, რომელსაც აქ კერძო ინტერესი არა აქვს და ამიტომ მიუკერძოებელი არბიტრობა შეუძლია? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: იმიტომ, რომ ამ ქვეყნებს ეს რეგიონი უფრო ულირთ, ვიდრე სხვებს (ევროპელებს ულირთ ევროპა, კავკასიელებს — კავკასია და ა. შ.). მაგრამ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ „ესენგეს" ქვეყნებს არაფერი აქვთ საერთო ისეთი, რაც მათ ულირდეთ. პირიქით, მათი მთავარი ინტერესია, თავი დააღწიონ „ხალხთა საპყრობილის" ჩარჩოს. ამის ვერგაგება ან ამის ვერგაგების სიმულაცია არის სწორედ იმ ანტისახელმწიფოებრივი, არათავისუფალი პოლიტიკის იდეოლოგია, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ატარებს. ამ სიმულაციიდან კი ერთი ნაბიჯია იმ გულუბრყვილო ლექსიკონამდე, რომლითაც პრეზიდენტი ახასიათებს „ესენგეში" გაერთიანებული სახელმწიფოების ურთიერთობას, თითქოს ეს სახელმწიფოთა ორგანიზაცია კი არ იყოს, არამედ ძმაბიჭების ფსონი.

**„დაუშვებელია არამეგობრული, არაკეთილმეზობლური დამოკიდებულება ერთმანეთის ინტერესებისადმი, მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინება, პრიორიტეტულობისა და მონოპოლიზმისადმი მისწრაფება. მე ასე მგონია, რომ ყველა სახელმწიფოს წარმატება და გაძლიერება ჭეშმარიტ სიხარულს უნდა იწვევდეს თითოეულ წევრ სახელმწიფოში."**

**„მაგალითად, თუ მეგობრები ვართ, თუ კეთილი მეზობლები ვართ, თანამეგობრობის წევრები და თანაბარუფლებიანი, მაშინ სხვადასხვა ჯურის სეპარატიზმსაც არ უნდა ალვივებდე და, სხვათა შორის, არც იმას უნდა ცდილობდე, რომ ყველა კომუნიკაციამ, ყველა გაზსადენმა, ყველა ნავთობსადენმა, ყველა საჰაერო ტრასამ, ყველა სატელეფონო არხმა მაინცდამაინც შენს ტერიტორიაზე გაიაროს."**

ჩვენი ძირითადი მოწინააღმდეგის — რუსეთის პოლიტოლოგიის ლექსიკონი „ესენგეს" სახელმწიფოთა ურთიერთობაზე მსჯელობისას ბევრად უფრო სერიოზულია და უფრო რეალისტური. იგი სახელმწიფოთა ინტერესებზე ლაპარაკობს, და არა „მეგობრობაზე", რომელზედაც პასუხისმგებლობით აღჭურვილი პოლიტიკის აგება შეუძლებელია.

მეორეც, პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ საქართველოს დაუბრუნდება „ესენგეს" ქვეყნების ბაზარი, ანუ — მარტივად რომ ვთქვათ, — იმისი, რომ ამ ქვეყნებში საქართველოში ნაწარმოები საქონელი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შემოღების წყალობით გაიყიდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი სხვა ქვეყნების საქონელს თავისუფალ კონკურენციაში ვერ აჯობებს. ეს იმედი ეფემერულია, ვინაიდან არ არსებობს მინიმალური ალბათობაც კი, რომ რუსეთი თავის ყოფილ კოლონიასთან ურთიერთობაში ეკონომიკურ მოსაზრებებს წინ დააყენებს გეოპოლიტიკურზე და ბაზრის გახსნის სანაცვლოდ საქართველოს გეოპოლიტიკურ დაქვემდებარებას არ მოითხოვს.

### პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

პრეზიდენტი მსმენელს თავისი პოლიტიკის მიღწევად უსახავს ისეთ გარიგებას აფხაზეთის საკითხზე, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ ერთი მორიგი კაპიტულაციაა აქამდე ჩადენილ კაპიტულაციათა შორის. ამ გარიგების პირობები, პრეზიდენტის სიტყვით, „ჩვენი შეთავაზებულია". მაგრამ, ეს ვერ ცვლის თვით პირობათა ანტიქართულ ხასიათს. მას შემდეგ, რაც კონფლიქტის „ინტერნაცილონალიზაცია" მოახდინა, ანუ იგი მსოფლიოს და, პირველ ყოვლისა, რუსეთის გადასაწყვეტი გახადა, პრეზიდენტი ახლა ასე მსჯელობს:

**„ეს გახლავთ, უწინარესად, გალის რაიონის საკითხის გადაწყვეტა, გალში დაბრუნება, ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნა საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაწილეობითა და მათი კონტროლით, სამშვიდობო ძალების დისლოკაციის ძირითადი ხაზის გადაადგილება მდინარე ენგურიდან ღალიძგამდე, ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნება."**

ვისი „ერთობლივი ადმინისტრაციის" ქვეშ უნდა დაბრუნდნენ ლტოლვილები გალში, სადაც მათ სიცოცხლეს დღეს მხოლოდ პარტიზანთა ვაჟკაცობა ან, პირიქით, მოწინააღმდეგეთა ფეხქვეშ გაგება და „აფხაზად" დაწერა იცავს? ვისი ადმინისტრაციის ქვეშ უნდა დაბრუნდნენ ისინი აფხაზეთის დანარჩენ ნაწილებში? იმ მკვლელების წინაშე, რომლებმაც გენოციდი ჩაატარეს და დღეს არძინბას პოლიცია არიან, ვინ უნდა დაიცვას ქართველი მოსახლეობის სიცოცხლე, მის ღირსებაზე და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებზეც რომ არაფერი ვთქვათ? პრეზიდენტს, მართალია, უფლება აქვს, გასამართლებული მკვლელი შეიწყალოს და მას განაჩენი შეუმსუბუქოს, მაგრამ მას არა აქვს უფლება, გაუსამართლებელ მკვლელს დანაშაული აპატიოს და დაუშვას, რომ იგი დაზარალებულს „წესრიგის დამცველ" მბრძანებლად მოევლინოს. პრეზიდენტს შეცდომაში შეჰყავს მსმენელი, როცა შექმნილ ვითარებაში ლტოლვილთა დაბრუნების იმედს აძლევს. ამასთან ერთად, იგი შეგნებულად უმალავს მსმენელს, რომ რუსული კონტიგენტის შეცვლა სხვა ქვეყნის ან ქვეყნების კონტიგენტით (მაგ. უკრაინის), რაც შეასუსტებს რუსეთის იმპერიულ პორციებს კავკასიაში, ამით ავტომატურად გადაუწყვეტს საქართველოს აფხაზეთის პრობლემას. საქართველოს და მისი მოსახლეობის ინტერესთა ხმარება „ხურდა ფულად" დიდი ანუ მსოფლიო პოლიტიკის ამა თუ იმ პრობლემის განვითარებაზე მეტ-ნაკლები გავლენის მოსახდენად არა მხოლოდ მორალსაწინააღმდეგო მოქმედებაა, არამედ არარეალისტურიც. გაეროს მანდატით შესული კონტიგენტი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მოწინააღმდეგეთა ძალების დაშორიშორებას ახდენს, მაგრამ არა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს სუვერენიტეტის აღდგენას.

**შემატკივარი**

# საკადრო ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროში

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ პოლკოვნიკი როლანდ ლიპარტელიანი დაინიშნა, რომელიც ადრე სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა.

დემურ მიქაძის ადგილზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა გენერალ-მაიორი დავით გულუა, რომელსაც სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა.

ლევან კენჭაძის ადგილზე, ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტი შაქრო წიწქალაძემ დაიკავა. ხოლო ლევან კენჭაძე სამთავრობო დაცვის უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს.

როგორც გეა-ს კორესპონდენტს შსს-ს პრესცენტრის უფროსმა, ვალერიან გოგოლაშვილმა აცნობა, სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა ზურაბ უროტაძე, რომელსაც სამინ-



ისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. მის ადგილზე დაინიშნა დავით კობახიძე, რომელიც მანამდე ეკოლოგიის პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო. ხოლო ეკოლოგიის სამმართველოს უფროსად დაინიშნა მალხაზ ბიწაძე.

შსს-ს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელის, ვალერიან გოგოლაშვილის ინფორმაციით, შს სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსად რევაზ ფოჩხუა დაინიშნა, რომელიც ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი იყო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა პოლიციის პოლკოვნიკი შაქრო ბერიშვილი, რომელიც მანამდე შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილე იყო.

„ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა იმათი საკითხი, ვინც დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა, მაგრამ მათი საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება" - უთხრა გეა-ს კორესპონდენტს ვალერიან გოგოლაშვილმა.

# ელენე თევდორაძემ ქსნის საპატიმროები მოინახულა

ქსნის კოლონიის ტუბზონის 80 პატიმარი უმძიმეს მდგომარეობაშია, ისინი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდნენ ე.წ. „აქტიროვკით", - აცნობა გეა-ს კორესპონდენტს პარლამენტის პენიტენციალური რეფორმისა და პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ, რომელიც აღნიშნულ კოლონიას ეწვია. თევდორაძის ინფორმაციით, ქსნის კოლონიაში ამჟამად 300-მდე პატიმარს აქვს ტუბერკულიოზის ღია ფორმა. მისივე თქმით, ტუბზონის პატიმრებს დიდ დახმარებას უწევს საერთაშორისო წითელი ჯვარი, რომელიც მედიკამენტებით ამარაგებს კოლონიას და აწარმოებს კოლონიის შენობა-ნაგებობების რემონტს.

ელენე თევდორაძე №8 ქსნის კოლონიასაც ეწვია, სადაც აპრილის ბოლოს გაქცევის მცდელობისას კოლონიის ერთ-ერთმა მცველმა პატიმარი დგებუაძე მოკლა. გეა-ს კორესპონდენტს ელენე თევდორაძემ აცნობა, რომ მან დაათვალიერა შემთხვევის ადგილი, სადაც ზონის კედელი საკმაოდ დაბალია. თუმცა, ელენე თევდორაძე გაკვირვებულია იმ გარემოებით, რომ მკვლელობის მომენტში პატიმარი



გუშაგის მიმართულებით გარბოდა და არა მის საწინააღმდეგოდ. ასევე ცნობილი გახდა, რომ დგებუაძე საკმაოდ წყნარი პიროვნება იყო. თავად პატიმრებმა თევდორაძეს მოკლული პატიმარი დაუხასიათეს როგორც გულჩათხრობილი ადამიანი, რომელსაც ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა.

# შესაძლოა სარკინიგზო ტრანსპორტზე ფასები გაიზარდოს

შარშან ბევრი რამ გაკეთდა ტრანსპორტის სფეროში, მაგრამ წელს ტრანსპორტის სამინისტრომ უნდა გადახედოს ტარიფების სისტემას, რაც განსაკუთრებული საუბრის თემა უნდა გახდეს. ამის თაობაზე ისაუბრა დღევანდელ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ.

პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსის მოადგილემ, ვახტანგ მასხულიამ დღეს გამართულ ბრიფინგზე, გეა-ს კორესპონდენტის შეკითხვაზე განმარტა, რომ საუბარია რკინიგზის ტრანსპორტის ტარიფების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაზე.

ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომ სარკინიგზო ტრანსპორტზე ფასები გაიზრდება.

**გეა**

# მრავალნაირი მაკონტროლებლები არიან ნამდვილი უკონტროლობის მიზეზი

რა მდგომარეობაა დღეს პროდუქციის ხარისხის დაცვის სფეროში, როგორ დავიცვათ ქმედითად თავი ფალსიფიკაციისაგან, რა მნიშვნელობა აქვს საქონლის სერთიფიკაციას და ხარისხის ნიშანს? ამ თემებზე გავესაუბრეთ საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერთიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ ჯემალ მანჯგალაძეს.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სამსახური არის ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლს განაგებს პროდუქციის ხარისხის, მომსახურების და სერთიფიკაციის სფეროში. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ საქსტანდარტმა კონტროლის ფუნქცია უნდა შეასრულოს, მაშინ ის მდგომარეობა, რაც დღეს არის, როცა კონტროლის ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროში და უწყებებშია გაბნეული — ყოვლად დაუშვებელია. კანონის მიხედვით კონტროლი და ზედამხედველობა აღნიშნულ სფეროში ჩვენს სამსახურს ევალება, მაგრამ ისმის კითხვა: ასრულებს თუ არა ის ამ ფუნქციას? ვერ ასრულებს, რადგან ამდენი მაკონტროლებელი ორგანიზაციების გამო, რაც დღეს საქართველოში არსებობს, ერთიანი პასუხისმგებლობა არ არის და შედეგიც ერთია — ზარალდება ჩვენი მოსახლეობა.

ბ-ნი ჯემალი 8 თვეა, რაც ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს: „ამ ხნის განმავლობაში ვეცადეთ დაგვერწმუნებინა მთავრობა და პარლამენტი, რომ ხარისხის კონტროლი ერთ ხელში უნდა იყოს და პასუხისმგებლობაც მთლიანად ამ ორგანიზაციაზე უნდა განაწილდეს. დღეს, თუკი არსებობს რამე სამსახური, ყველა კონტროლს იჩემებს. ამდენი მაკონტროლებლის ხელში ჩვენ კიდევ კარგად გვაქვს საქმე. პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში ასეთი ფრაზა თქვა: „სადაც კი დაინახავენ, რომ ბოლი ამოვიდა, მაშინვე უამრავი მაკონტროლებელი ეცემა ხოლმეო". რა ქნას მეწარმემ, ხომ არ შეუძლია 15 სხვადასხვა ორგანიზაციას გასცეს პასუხი. იგი უარს არ ამბობს კონტროლზე, მაგრამ კონტროლი ერთი უნდა ჰქონდეს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კონტროლის ფუნქციას მთლიანად დავიბრუნებთ. მე არ ვლაპარაკობ, რომ შემდგომ იდეალური სიტუაცია შეიქმნება, მაგრამ პასუხისმგებლობასაც ერთ ორგანიზაციას მოსთხოვენ.

ახლახან დამტკიცდა ჩვენი სამ-




სახურის დებულება. შევქმენით მარტივი სტრუქტურა. ამ სტრუქტურით ყველა ქვეორგანიზაცია პასუხისმგებელია ჩემს წინაშე, ხოლო პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე მე უნდა ვიყო პასუხისმგებელი. მე არა მაქვს ჯერ ეს ფუნქცია. არადა უცნაური ამბები ხდება. გაგეცინებათ, და თურმე ნუ იტყვით, რომ ქუთაისში ეკოლოგიის პოლიციაც კი ხარისხს ამოწმებს.

ადგილობრივი მრეწველი ამდენ ოფიციალურ თანხას იხდის. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მათ არაოფიციალურ თანხებსაც სძალავენ. მარტო მომხმარებლის უფლება კი არ უნდა იყოს დაცული, არამედ მეწარმისაც. რასაკვირველია, პროდუქცია უნდა იყოს სტანდარტული, თუმცა ისიცაა, რომ ყველაფერს სტანდარტი ნამდვილად არ სჭირდება, მაგალითად, კვების ობიექტის მენიუში შესულ კერძებს სტანდარტი არ სჭირდება, მხოლოდ იგი მავნე და სახიფათო არ უნდა იყოს მომხმარებლისთვის.

საერთოდ, დაბალი ხარისხის პროდუქციას ცხოვრების უფლება აქვს (არსებობს 5 ლარიანი და ამავე დროს 100 ლარიანი პერანგები), მაგრამ ეს პირობა კვების პროდუქტებს არ უნდა ეხებოდეს. ჩვენ ბევრი შემთხვევები გვაქვს უხარისხო და მავნე პროდუქციის რეალიზაციისა, მაგრამ მისი განადგურების ან ჩამორთმევის მექანიზმი არ არსებობს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შევაჩეროთ ასეთი პროდუქციის რეალიზაცია და დამრღვევი დავაჯარიმოთ. მალე პარლამენტი „სურსათის კანონს" მიიღებს, ანალოგიური ალბათ, „ღვინის კანონი" გამოვა. შევეხოთ ლიცენზიას. ჩემის აზრით, ყველა პროდუქტს ლიცენზია არ სჭირდება. თუ, რა თქმა უნდა, ის სახელმწიფო პრიორიტეტის პროდუქცია არ არის (ღვინო, ჩაი და სხვა).

დღეს რაც ხდება, კარგად მოგეხსენებათ. ღვინის ფალსიფიკაციამ ძალიან დიდი მასშტაბი მიიღო. არ შეიძლება შუშხუნა 60 ან 80 თეთრი ღირდეს. ექსპერტიზის გარეშე ნათელია, რომ ასეთი ღვინო ფალსიფიცირებულია. ჩვენ რომ ასეთი პროდუქციის განადგურების უფლება გვქონდეს, ბაზარი უცბად გაინმინდებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, წინა წლებთან შედარებით, ამ მხრივ სიტუაცია საკმაოდ გამოსწორდა.

შემოტანილი პროდუქციის გარკვეული ნაწილი საბაჟოს გვერდის ავლით შემოდის, რა თქმა უნდა, ასეთი პროდუქციაც ჩვენი კონტროლის გარეშე რჩება. ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ორ თავ ყველსაც ვერ შეიტან სპეციალური სერთიფიკატის გარეშე.

დიდი მნიშვნელობა აქვს სტანდარტიზაციის და ხარისხის

(გაგრძელება მე-8 გვ.)

# "ЭТО Я, ЭДИЧКА"

*მე-3 გვერდიდან*

გოლიცინის წიგნის წამკითხველთათვის იმთავითვე აბსოლუტურად ნათელი იყო შევარდნაძის, როგორც „დიადი" დიპლომატისა და პოლიტიკოსის, არანამდვილობა. ეს ნათლად დადასტურდა შემდგომში, როცა შევარდნაძემ „დამოუკიდებელი" პოლიტიკის გატარება დაიწყო, ამჯერად — საქართველოს პრეზიდენტის რანგში. მისმა დიპლომატიურმა კონვულსიებმა მოიტანა სრული წაგება აფხაზეთის კონფლიქტში, მიუხედავად იმისა, რომ მის ყოველ წაგებას ელცინთან მოლაპარაკებაში საქართველოს მხოხავი პრესა და ტელევიზია მის „დიად" პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამარჯვებად ხატავდა. რუსეთი იმასაც კი არ ცდილა, რომ თავისი აბუჩად ამგდები და ცინიკური დამოკიდებულება საქართველოსადმი და შევარდნაძისადმი, თუნდ ლეღვის ფოთლით მაინც შეენიღბა. ამაში დარწმუნდებით, თუ თვალს გადაავლებთ ამ დროის რუსეთის პრესას და ტელევიზიის ჩანაწერებს. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა და მას სხვაგან შევეხებით. შევარდნაძის მაღალი აზრი თავის თავზე ემყარება მისი ბოლო დროის ტკბილ მოგონებებს. მისდამი მისი ახალი მეგობრების — კოლის, კლინტონის, ტეტჩერის, მიტერანის კეთილგანწყობილება აიმედებდა მას, რომ დაეხმარებოდნენ რუსეთთან მოპირისპირეობაში. მისი ანგარიშის გამტყუნება იმაში მდგომარეობდა, რომ მან გადაივიწყა პოლიტიკის მთავარი წესი — რომ პოლიტიკამ არ იცის მეგობრები და მტრები, მან იცის მხოლოდ საკუთარი ინტერესები, დასავლეთის ინტერესები კონცენტრირებულია რუსეთზე და მასთან ურთიერთობის გაფუჭება საქართველოს გამო დასავლეთს არ ჰსურს.

შევარდნაძესთან გარეგნულად მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების ფონზე ეს ყმაწვილები ამავე დროს არ უშლიდნენ ხელს რუსეთს, რომ საქართველო თავისი გავლენის სფეროში ჩაეთრია და იქ თავისი ინტერესების შესატყვისი პოლიტიკა გაეტარებინა. კრემლის ხელმძღვანელობამ სრულად გამოიყენა მის ხელთ არსებული შესაძლებლობები, შევარდნაძე კი კიდევ ერთხელ „გაცურებულ" იქნა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ ანგაჟირებული ე. კრუტიკოვის მოწმობით, შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო ყველა მოწინააღმდეგე ძალების აღჭურვა მძიმე შეიარაღებით. მათ შორის — ტანკებით, რომლებიც „კვარტეტმა" სამჯერ მეტი მიიღო, ვიდრე საქართველოს ეკუთვნოდა ტაშკენტის შეთანხმებით. ამავე დროს რუსეთის არმიის აფხაზეთის ჯგუფი გამოიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებიდან და პირდაპირ დაუქვემდებარეს მოსკოვს. და წამსვე სსრკ მეცნ. აკადემიის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, მოსკოველმა არძინბამ მიიღო ათი უახლესი მოდელის ტანკი ტ-80, ზალპური ცეცხლის უახლესი სისტემები „გრად", ტანკსაწინააღმდეგო და სამსროლელო იარაღი. ხასბულატოვმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა თავის ფედერაციაში მიიღოს „სამხრეთ ოსეთი" და იარაღით დაიცვას იგი „ქართველი ბოევიკებისაგან." ჩახმახი შეყენებული იყო. საჭირო იყო მხოლოდ საბაბი და ეს საბაბიც ისევ და ისევ გუდაუთაში მდგომმა რუსეთის სამხედროებმა შექმნეს. მათი ჩუმი მხარდაჭერით სეპარატისტებმა გადაკეტეს აფხაზეთში გამომავალი რკინიგზა, რის შემდეგაც კიტოვანმა თავისი გვარდია იქ გარეკა.

მას მაროდიორულ გასტროლზე გაჰყვნენ „მხედრიონის" შეიარაღებული ფორმირებებიც. გალის რაიონი — გამსახურდიას ეს მტკიცე საყრდენი — სასტიკი ეგზეკუციის საგანი გახდა, ისევე როგორც ამის შემდეგ სამეგრელოს რაიონები. მაგრამ ძირითადი ბრძოლები გაიმართა ერთის მხრივ აფხაზურ-სომხურ გაერთიანებულ შეიარაღებულ ბანდებსა და რუსეთის მიერ შეიარაღებულ და გაწვრთნილ ჩრდილოკავკასიელებს (რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი გენერალი სიგუტკინი და პოლკოვნიკი სოსნალიევი) და მეორეს მხრივ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (გენერლები რეუტი და ბეპაევი) ხარჯზე შეიარაღებულ თბილისის სამხედრო ფორმირებებს შორის.

მშვიდობიანი მოსახლეობის ათიათასობით მსხვერპლი და ასიათასობით ლტოლვილი რომ არა, შესაძლებელი იქნებოდა ეს კონფლიქტიც განგვეხილა როგორც რუსეთის არმიის პრაქტიკული სწავლება საქართველოს ტერიტორიაზე. გუდაუთაში იჯდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი გ. კონდრატიევი, უკიდურესად ანტიქართულად განწყობილი. ეს ის კონდრატიევი იყო, თავის დროზე რომ რუსეთის საბრძოლო შვეულმფრენებს სამაჩაბლოში ქართველთა პოზიციებისათვის სარაკეტო დარტყმების მიყენება უბრძანა. მისი ჩამოწოდებით და რუსეთის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით იყო, რუსეთის არმიამ რომ ქართული ავიაციის წინააღმდეგ სარაკეტო კომპლექსები გამოიყენა და რამდენიმე სუ-25 ჩამოაგდო.

შევარდნაძის მორიგი დიპლომატიური „წარმატების" შემდეგ, საკუთარი ნაწილები რომ განაიარაღა და სეპარატისტებმა რომ ამით მორიგი, ამჯერად — უკანასკნელი გამარჯვება მოიპოვეს, რომლის შემდეგაც თბილისის ფორმირებათა დაცალკევებულმა ნარჩენებმა არსებობა შეწყვიტეს, სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ პრეზიდენტი გამსახურდიას ფორმირებები. იგი თვითონაც ჩამოფრინდა გროზნოდან და ამ ძალების მოქმედებას ხელმძღვანელობდა.

შევარდნაძის კარიერას საქართველოში აღსასრული დაუდგა. ლოთი ქობალიას რაზმები აკონტროლებდნენ დასავლეთი საქართველოს დიდ ნაწილს და რაკი წინააღმდეგობა არ ჰხვდებოდათ, თბილისისკენ მოძრაობდნენ. და მაშინ დადგა ფინალის დრო. ამიერკავკასიის ყოფილმა სამხედრო ოლქმა უკვე დაუფარავად მოითხოვა კონტროლი საქართველოს ხელმძღვანელობაზე. გენერალ რეუტის მოთხოვნით უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა ი. გიორგაძე, ხოლო შევარდნაძის თხოვნით ფოთში გადმოსხეს 700 კაციანი თავზეხელაღებულთა დესანტი რუსეთის საზღვაო ქვეითი ნაწილების შემადგენლობიდან, რომელმაც გაანადგურა გამსახურდიას შეიარაღებული ნაწილები და შემდეგ მოსპო მათი ნარჩენები, რითაც შეუნარჩუნა შევარდნაძეს საქართველოში ყოფნა და იგი მოსკოვის კონტროლის ქვეშ დააყენა.

სისხლის ზღვის დაღვრის შემდეგ რუსეთის პოლიტიკოსებმა კვლავ დააბრუნეს საქართველოს სახელმძღვანელოდ — უფრო ზუსტად, იმის სახელმძღვანელოდ, რაც საქართველოსაგან დარჩა — მისი ყოფილი კომუნისტი მმართველი. ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ იგივე პროცესები წარიმართა აზერბაიჯანში, ტაჯიკისტანში, მოლდოვაში, რუსეთი — ამჯერად, „დემოკრატიული" — კვლავ დამკვიდრდა თბილისში.

**ვლადიმერ ხვედელიძე**

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## რადიოსადგური „თავისუფლება" იუწყება:

* * *

საქართველოში არსებულ სამართლებრივ პრობლემებსა და მისი დაძლევის გზებს მიეძღვნა 5 მაისს ჟურნალისტთა სახლში სამართლებრივი სახელმწიფოს მხარდამჭერი ჯგუფის ინიციატივით მოწყობილი პრესკონფერენცია.

როგორც ჯგუფის წევრმა გელა ჩორგოლაშვილმა აღნიშნა, დღეს საქართველო, სამართლებრივი თვალსაზრისით, მოუწესრიგებელია; დარღვეულია სამართლებრივი კონსტრუქცია და ვიდრე არ მოხდება მისი განახლება, მანამდე რაიმე პოზიტიურ საკითხზე საუბარი არ იქნება მართებული. სამართლებრივი სახელმწიფოს მხარდამჭერი ჯგუფის წევრები გამოვიდნენ მოლაპარაკებისთვის სამართლებრივი გარემოს შექმნის ინიციატივით. მათ, აგრეთვე, დააყენეს საკითხი სამედიატორო კოლეგიის შექმნის შესახებ.

კოლეგიის შექმნის იდეა იმაშია, რომ არსებულ ხელისუფლებასა და დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ნდობის მანდატით აღჭურვილ კომისიებს შორის დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი. როგორც გელა ჩორგოლაშვილმა თქვა, ამ შეხვედრის ორგანიზების ხარჯები არსებულმა ხელისუფლებამ უნდა გაიღოს.

შეხვედრაზე განიხილავენ საკითხებს, რაც, მისი აზრით, სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს. მათ შორის კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის შედეგების დაძლევის, სინდისისა და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისა და სხვა საკითხები.

* * *

26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები პოლიტიკურ გაერთიანებათა ლიდერების დონეზე 12 მაისს გადაწყდება საქართველოს პარლამენტში, — განაცხადა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია „სახალხოს" ლიდერმა მამუკა გიორგაძემ. 26 მაისს ჩასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური გაერთიანების ლიდერები მოიწვია, რათა ამ ღონისძიებისათვის განკუთვნილი ადგილი, თემატიკა, პერსონალური და პოლიტიკური შემადგენლობა, მისალები დოკუმენტები და პოლიტიკური სტატუსი განესაზღვრათ.

* * *

როგორც რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქცია თავის ზუგდიდელ კორესპონდენტზე დაყრდნობით აუწყებს მსმენელებს, გალის რაიონში მოქმედი ქართველი პარტიზანები აცხადებენ, რომ მთავარი ბრძოლები ჯერ წინაა.

აფხაზური ტელევიზიით კი აფხაზური ოფიციალური სტრუქტურები საეთერო დროის თითქმის ნახევარს ქართული პრესის მიერ გავრცელებული ცნობების უარყოფას ანდომებენ. მათ რომ უსმინო, აფხაზეთში ყველაფერი რიგზეა და იქ დასასვენებლად ჩასვლა არავითარ საფრთხესთან არ არის დაკავშირებული. როგორც ჩანს, მათ მოახლოებული საკურორტო სეზონი ადარდებთ, თუმცა, შეიძლება, ორმაგად დასცხეთ: ქართველი პარტიზანები მათ, ჩვეულებრივად, ბევრად ცხელ ზაფხულს პირდებიან.




ამავე გადაცემაში აღნიშნულია: აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული დროშის აფრიალების სენტიმენტალობა ყველაზე ორიგინალურად და, ალბათ, გულწრფელადაც გამოხატა საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა. მან გაიმეორა მრავალგზის ნათქვამი იმის შესახებ, რომ მშობლიურ კერაზე დაბრუნების მსურველ პარტიზანთა სტიქიური თავდასხმების აკრძალვა აფხაზეთში საქართველოს უშიშროების სამსახურს არ შეუძლია. სამაგიეროდ საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტი მზადაა ქართველი პარტიზანები დროშებით მოამარაგოს.

## მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა

საქართველოს პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე აღუძრავს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის შამილ ბასაევის წინააღმდეგ. პროკურატურას თითქოს დასაჭერი და დასაპატიმრებელი გამოლევია სეპარატიზმისა და კორუფციის ჭაობში ჩავარდნილ ქვეყანაში და ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის დაჭერა განუზრახავს, იმ ჩეჩნეთისა, რომელთან ომშიც კბილები მოიმტვრია მსოფლიოს ზარდამცემმა რუსეთის სამხედრო მანქანამ. თუ ასეთი გაბედული და სამართლიანია პროკურატურა, უმჯობესი იქნებოდა სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ გენერალ როდიონოვისა და ლებედის წინააღმდეგ, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით რუსმა ჯალათებმა 1989 წლის 9 აპრილს უიარაღო ქართველი გოგო-ბიჭები ამოხოცეს. ურიგო არ იქნებოდა სამართლიანობის დამცველ პროკურატურას სანქცია გაეცა რუსეთის თავდაცვის ყოფილ მინისტრზე პავლე გრაჩოვზე, რომლის ბრძანებით რუსული ავიაცია სასტიკად ბომბავდა სოხუმს, შემდეგ კი ცინიკურად საკუთარი ქალაქის დაბომბვაში დასდო ბრალი ქართველებს. იქნებ, ამ დანაშაულებრივი ფაქტების დამტკიცება და მოწმეების მოძიება გაუჭირდებოდა მშობლიურ პროკურატურას? პირველ საქმეზე მოწმედ მთელი ქართველი ხალხი გამოვიდოდა, რადგან 9 აპრილს დაღუპულთა ჭირისუფალი მთელი საქართველოა, ხოლო მეორე საქმეზე მოწმედ სოხუმის დატანჯული მოსახლეობაც იკმარებდა, პლიუს პრეზიდენტი შევარდნაძე, რომლის თითი ჩვენი მეომრების მიერ ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავის წითელი ვარსკვლავისკენ გაშვერილი, ალბათ, ყველას ახსოვს სატელევიზიო კადრიდან.




ბოლოს და ბოლოს, მართლმსაჯულება მოითხოვს ქართველი ერის გენოციდისათვის და აფხაზეთის მიტაცებისათვის საკადრისი სასჯელი მიეზღოთ არძინბას და მის ხროვას.

მართლმსაჯულება მოითხოვს ასევე გასამართლდეს ოსური სეპარატიზმი მისი ლიდერის ჩიბიროვის მეთაურობით, რომელსაც ამის ნაცვლად ჩვენი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, თავისდა სამარცხვინოდ სამხრეთ ოსეთის კონსტრუქციულ პრეზიდენტად ნათლავენ.

პროკურატურას უამრავი საკვლევ-საძიებელი აქვს ქვეყნის გაღლეტა-გაძარცვის საქმეებში, ასობით მილიონი დოლარის კრედიტების ჩაჯიბვა-გაფლანგვის დანაშაულებრივი პოლიტიკის გამომზეურებაში, მაგრამ ყოველივე ამაზე თვალს ხუჭავს და სამაგიეროდ მიზანშეწონილად თვლის ჩეჩნეთის ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ აღძრას სისხლის სამართლის საქმე. თუკი ხელისუფლება საეჭვო პოლიტიკური ინტერესებით ამართლებს არძინბასთან და ჩიბიროვთან პირზე კოცნით შეხვედრას, ნუთუ იგივე ხელისუფლება ვერ ხედავს, რომ პროკურატურის აღნიშნული ქმედებით გართულდება ურთიერთობა ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან, რითაც მართლაც შეილახება საქართველოს ეროვნული ინტერესები? საოცარია, საქართველოს პრეზიდენტმა ბოლო პერიოდში ბევრჯერ გაუსვა ხაზი ჩეჩნეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას იგივე მშვიდობიანი კავკასიის იდეის ფარგლებში, თავად ჩეჩნეთის პრეზიდენტი კავკასიის იდეის ფარგლებში, ქართველი და ჩეჩენი ხალხების მეგობრული ურთიერთობის აღდგენის სურვილს გამოთქვამს, ლაპარაკია აფხაზეთის დაბრუნებაში მხარდაჭერაზე, თვით შამილ ბასაევი უდიდეს შეცდომად აღიარებს აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას და ასეთ ვითარებაში საქართველოს პროკურატურა სალი აზრის საწინააღმდეგოდ მოქმედებს და როგორც საქართველოში ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ბატონი ხიზრი ალდამოვი აღნიშნავს, ჩეჩენი და ქართველი ხალხის სამტროდ იხარჯება. ამაზეა ნათქვამი, მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა. ამგვარი აბდაუბდა პოლიტიკის უარყოფით შედეგებს შემდგომ მთელი ქვეყანა იმკის. ეს არის პოლიტიკური კურსის უქონლობის ნაყოფი, რაშიც სამართლიანად ედება ბრალი ხელისუფლებას.

ხიზრი ალდამოვმა ისიც აღნიშნა, ცოდოა მარტო საქართველოო, რაშიც იგულისხმება ამგვარი პოლიტიკის შედეგად პერსპექტივაში მოკავშირის გარეშე დარჩენილი საქართველო. ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს და თან დავამატებთ, რომ მართლაც ცოდოა საქართველო ამნაირ ხელისუფალთა ხელში.

**გია თვალავაძე**

# რატომ გააუქმა მერიამ პრეზიდენტის განკარგულება?

საუბარი როცა აღმასრულებელ ხელისუფლებას ეხება, განსაკუთრებით საშიში და საფრთხილოა. მაგრამ, როცა იგივე საქმე უმაღლესი ხელისუფლების გამოცემული განკარგულების გაუქმებას ეხება, მისი დაქვემდებარებულისაგან საშიშსა და საფრთხილოსთან ერთად აღმაშფოთებელი, უცნაური და ცოტა სასაცილოც უნდა იყოს, თუ სატირალი არა! მე იმ ბრძანებულებაზე (№1) მოგახსენებთ, პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ 1995 წლის 31 დეკემბერს რომ გამოსცა:

„თბილისის მერიამ (ბ. შოშიტაიშვილი) საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან (ა. სილაგაძე) ერთად უმოკლეს ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განიხილოს და გადაწყვიტოს: ა) თბილისში, კოსტავას ქ. №59-ში მდებარე ყოფილი აბრეშუმის საწარმოს გაერთიანების შენობის ნაწილის (5986 კვ.მ) საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების განთავსებისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი..."

ხოლო ბატონმა მერმა ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ბათილად სცნო პრეზიდენტის ბრძანებულება:

საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად ქ. თბილისის მერიამ განიხილა ქ. თბილისში მ. კოსტავას ქ. №59-ში მდებარე ყოფილი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების შენობის ნაწილის (5986 კვ.მ), საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებაზე გადაცემის შესაძლებლობა.

„მერიას დაევალა საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 13 დეკემბრის №19 ბრძანებულება, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 20 ნოემბრის №487 ბრძანებულება არ ვრცელდება კულტურის, განათლების, მეცნიერების, საგამომცემლო საქმის, ჯანდაცვის და სპორტის იმ დაწესებულებებზე, რომლებიც არ შედიან მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში".

ბატონი მერის მიერ პრეზიდენტის ბრძანებულების გამაბათილებელ განკარგულებაში ისიცაა ნათქვამი, რომ ზემოაღნიშნული შენობის ნაწილი, მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 15 ივნისის განკარგულებით, თბილისის სამხატვრო აკადემიას გადაეცა, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ამ უკანასკნელმა მისი ათვისება ვერ მოახერხა, რის გამოც მისი ერთი ნაწილი — სამსართულნახევრიანი შენობა, საკუთრებაში გადაეცა საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას, თურქეთის საელჩოსათვის გადაცემული შენობის სანაცვლოდ, ხოლო მეორე ოთხსართულიანი ნაწილი სარდაფით სამეურნეო გამგებლობის უფლებით, საქართველოს სამხატვრო აკადემიას. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, განკარგულების და ახსნა-განმარტებების მოყვანით თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოკლედ ვიტყვით, ბუნების დაცვის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, ომარ ჯანელიძის თქმით, მერია „უსუსური, ყურით მოთრეული არგუმენტებით" ცდილობს პოზიციების ცვლილებების გამართლებას, ამასობაში კი უბინაოდ დარჩენილი საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება 5 წელია ხელისუფლებას რეკვიზიციის პრინციპებს უხსნის, რაც ნიშნავს, რომ ან იგივე ღირებულების შენობა გადასცენ საკუთრებაში, რაც ჩამოერთვათ, ან რეკვიზირებული შენობის ღირებულება გადაუხადონ.

საუბარი უკვე აღარ არის იმაზე, რომ ფიზიკურ ძალადობას (პირდაპირი გაგებით) შეეწირა რეკვიზირებულ შენობაში განთავსებული ბუნების დაცვის მუზეუმი, საქართველოს კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი, რომელსაც დიდი სამეცნიერო და ეკოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი მუზეუმის თავიდან შექმნა კი დღეს ფაქტიურად შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო (ეკონომიურ შესაძლებლობებს აღარ ვგულისხმობთ), რომ აღარ არიან მისი შემქმნელი დიდქართველები: ნიკო კეცხოველი, თეოფანე დავითაია, ვასილ გულისაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვები.



ყველაფერი კი იქედან დაიწყო, რომ 1993 წლის 16 მარტს მაშინდელი პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, თურქეთის საელჩოს განთავსების მიზნით, რეკვიზირებულ იქნა თბილისში ჭავჭავაძის ქ. №35-ში მდებარე ბუნების დაცვის საზოგადოების აგებული მუზეუმ-ლექტორიუმის შენობა. მოკლედ რომ ვთქვათ, თურქეთის საელჩოს გახსნას შეეწირა აღნიშნული საზოგადოების „ბედნიერება". აქედან იწყება ბუნების დაცვის საზოგადოების თანამშრომელთა დაუსრულებელი „ხეტიალი" ხელისუფლებაში, მერიაში, უზენაესსა თუ საკონსტიტუციო სასამართლოებში.

ბუნების დამცველებს, რომ იტყვიან, ბედი „სწყალობთ". მართალია, ერთი კუთვნილი წაართვეს, მაგრამ ორ სხვადასხვა უბანში ორმა სხვადასხვა ინსტანციამ გამოუყო ფართობი, მხოლოდ უცნაური ისაა, რომ ორი „საკუთრების" მფლობელს ერთიც არ ერგო წილად. ერთი ბრძანებულებით, რომ შენობა ბუნების დაცვის საზოგადოებას ეკუთვნის, მეორით, უფრო ადრინდელით, საქართველოს ბავშვთა ფედერაციას ან სამხატვრო აკადემიას.

სამართლის მაძიებლებს, როგორც ჩანს, შემოაცვდათ კიდეც რკინის ქალამნები, მწარე დებატების, ათასგვარი კომისიის მუშაობის, მერიის, პარლამენტის ბრძანებულებების, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოსა თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შემდეგ, ბუნების დაცვის საზოგადოების თანამშრომლებს მხოლოდ იმის თქმა თუ შეუძლიათ, ამ განკარგულებების შეუსრულებლობის გამო, რომელიც ჩვენ გვეხება, რატომ არავის ეთხოვება პასუხი?

როგორც ჩანს, არც ისე ადვილი უნდა იყოს სიმართლის პოვნა ჩვენს ქვეყანაში, თუკი შესაძლებელია იგი საერთოდ!

**ანა ჯუღელი**

# ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება

აფხაზეთში მდგომი რუსის ჯარისთვის უკვე მერამდენედ ვადის გაგრძელება ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ რელიეფურად ადასტურებს შევარდნაძისეული პოლიტიკის პროდასავლურობის თაობაზე ფართოდ რეკლამირებული შეხედულების უსაფუძვლობას. აფხაზეთის საკითხი ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი სასინჯი ქვაა. ამ სფეროში წარმოებული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია აფხაზეთში სტატუსკვოს შენარჩუნებისა და მისი შემდგომი იურიდიული გაფორმებისკენ, გაგრძელდება მანამ, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება რუსეთის აქ დარჩენის ილუზიას ებღაუჭება.

აქვე ჩვენ კვლავაც ვიმეორებთ, რომ აფხაზეთის დაბრუნება სრულიად რეალიზებადი ამოცანაა და ამისთვის რუსეთის სამშვიდობო ძალები ან ბოსნიური ვარიანტი კი არა, ასეთი მიზნების მქონე ხელისუფლებაა საჭირო. პოლიტიკური პარტიები კი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლისთვის გაერთიანების ნაცვლად, სამწუხაროდ, ერთი ცენტრიდან მართული ბელადების გარშემო ჯგუფდებიან.

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა**
5.05.98

# ხელისუფალთა და «ერისკაცთა» ბედოვლათობით გატანჯული ერი

უბედურია ქვეყნის ბედით შეჭირვებული ადამიანი, რომელიც თავის სიცოცხლეში ერთხელაც ვერ ეღირსება გონიერებით, სულიერებით და სამართლიანობით აღვსილ ხელისუფლებას, ან თუნდაც ისეთ ერისკაცებს, რომელთაც ხალხის ყოფა თუ დიდად არ დანაღვლებთ, ქვეყნის და მისი საზღვრების ურღვევობა და სიმტკიცე მაინც ექნებათ უპირველეს მიზნად დასახული.

ისტორიულად, სხვადასხვა ეპოქებში, ქართველი კაცი თუ ერი მთლიანად, კიდევაც იმშვილობდა, იდევნებოდა მამა-პაპისეული ადგილებიდან და სიკვდილსაც ხანგრძლივ თვალებში შესცქეროდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ქვეყნის თანადროული სავალალო ბედი სტანჯავდა და მას ვინც მამულს გადაურჩენდა, მისატევებელს მიუტევებდა, მის გვერდით დადგებოდა და თავსაც შესწირავდა.

XX საუკუნის ქართველობას კი ღმერთი ისე გაგვიწყრა, რომ ამ პერიოდის თვალსაწიერზე ვინც კი ჭეშმარიტი მამულიშვილი გამოგვჩნდა, ყველანი სიკვდილის გზას გავუყენეთ. ვადიდეთ, ვამეფეთ და ვაპარპაშეთ სკამის, ჩინ-მედლების, ამბიციების და სხვადასხვა პირადული სურვილებით შეპყრობილი პირები.

დღესაც ამასვე ვაგრძელებთ. ხელისუფლებას (ყოფილს თუ არსებულს), რომელთა ბედოვლათობის წყალობით აფხაზეთი და შიდა ქართლის დიდი ნაწილი დღემდე დაკარგული გვაქვს, ერთხმად და ერთსულ იმას არ თუ ვერ ვაკეთებინებდით და დღესაც არ თუ ვერ ვაკეთებინებთ, რაც უფსკრულიდან ამოგვიყვანს და ქვეყანას გადაგვირჩენს. არადა ხშირად დღენიადაგ დემაგოგიურად იმას ჩაგვჩიჩინებენ, დემოსის (ხალხის) მმართველობით სახელმწიფოს — დემოკრატიას, ვაშენებთო.

ამ გარემოებათა გამო მინდა მოვიყვანო „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის" თავმჯდომარის ბატონ მურმან ბერიას საგაზეთო პუბლიკაციიდან შემდეგი სიტყვები: „ქართველმა ხალხმა, პირველ რიგში, აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ გამოიჩინა საოცარი სულგრძელობა და მიმტევებლობა. მან ნდობის მანდატი გაუგრძელა დამარცხებულ ხელისუფლებას და ამით მისცა საშუალება თვითონვე გამოესწორებინა დაშვებული ტრაგიკული შეცდომები. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ჯეროვნად ვერ გამოიყენა მიცემული შესაძლებლობები და ბოლომდე ვერ გაამართლა ერის ნდობა. ყველაზე დიდი ვალი, რაც მართებს მას, არის აფხაზეთი" — და, რა თქმა უნდა, შიდა ქართლის დიდი ნაწილი (ავტორის დამატება).

დიახ, ხელისუფალნი ღრმად უნდა ჩასწვდნენ მოცემული შეფასების აზრს, რომელიც არ არის მარტო ერთი პიროვნების თვალსაზრისი, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფალთათვის ნდობის მანდატის გაგრძელება არ ყოფილა უკლებლივ ყველა ქართველის და მათ შორის დევნილთა დიდი ნაწილის სურვილი.

ქვეყნის ტერიტორიული თუ სულიერი საზღვრების ნგრევის გამო ხელისუფლებასთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობა ეგრეთწოდებულ ერისკაცებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და მისი მრავალსახა განშტოებების, სხვადასხვა საზოგადოებების თუ პარტიების მესვეურებს, აგრეთვე ეკლესიის წინამძღოლებს აკისრიათ, რომელთაგან ხალხის წინაშე ბოდიშს არავინ იხდის და არც მიტევებას ითხოვენ.

რუსეთის ანკესზე წამოგება სწორედ ყოფილ თუ არსებულ ხელისუფალთა და მათთან ერთად „კორიფე" მეცნიერთა ბედოვლათობის დასტურია და ამავე დროს დანაშაულიც ქვეყნის და ერის წინაშე. მათი უპირველესი მოვალეობა სწორედ რუსთა თუ სხვა აგრესორთა ანკესების გაუვნებელყოფა იყო და არა მათზე ქვეყნის და ერის წამოგება. მას შემდეგ, რაც მოხდა და რამაც გავებით, მათ ისიც კი არ გვაღირსეს, რომ ამ ეგრეთწოდებული რუსული ანკესების არსებობის და მოქმედების ფაქტები დაესაბუთებინათ და მათ შესახებ ობიექტურად ემცნოთ ქვეყნის შიგა თუ გარე სამყაროს საზოგადოებისათვის.

არადა, ეს ის ნაღდი ფაქტებია და მათზე ზღვა მასალაა, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე დაუგროვდა საქართველოს ხელისუფლებას და მეცნიერებათა აკადემიას საანალიზოდ, სარეაგირებლად და საერთაშორისო სარბიელზე საპროტესტოდ, მაგრამ მათზე ხმას არ იღებენ და მუნჯივით სდუმან. მათი ასეთი დუმილი კი მსგავსია იმ ექიმის ბედოვლათური (?) ქცევისა, რომელიც მომაკვდავ ავადმყოფს გადასარჩენად წამალს არ მიაწვდის.

თანამედროვე ხელისუფალთა სენი მეცნიერებათა აკადემიას სრულად გადაედო — რაც უფრო მეტ და ნაღდ სიმართლეს ეტყვი, მით უფრო ძლიერ დაიხშობენ ყურებს. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, 70 წლიანი ჩვეულების მიხედვით, მეცნიერებათა აკადემიის ამოძრავების ერთადერთ საშუალებად ისევ და ისევ ხელისუფლება რჩება, რომელიც ვერა და ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აფხაზეთში ეთნო-ომის გაღვივებამდე, ყველანაირად მოსაგები სამეცნიერო ომი უკვე წაგებული გვქონდა, ხოლო სამომავლოდ სიკეთე თუ გვინდა, ამ მიმართებით მეცნიერებათა აკადემიის ასამოძრავებლად ხელისუფლებამ მათივე წისქვილზე დროზე უნდა მიუშვას წყალი (თუმცა უკვე დაგვიანებულია, მაგრამ მაინც).

სხვანაირად, ზემოხსენებული „ანკესების" სამეცნიერო მხილების გარეშე, საერთაშორისო სარბიელზე ვერა და ვერ გამომჟღავნდება ქართულ-აფხაზური ეთნოომის ნამდვილი მიზეზი და არც არასოდეს იზეიმებს სიმართლე დღეს უკვე ორ ხალხად გაყოფილი (ქართველები და დევნილი აფხაზები) ადამიანების სამერმისო სასიცოცხლო ურთიერთობებში. მით უმეტეს, კონფლიქტების დარეგულირების მცდელობისას.

და თუ ვინმე ქართველთაგანს დღეს მსოფლიოში დიდი პოლიტიკოსობის და მეცნიერობის პრეტენზია აქვს და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა საზოგადოებებში მართლა ჰყავს ობიექტიურობით გამორჩეული ყველასათვის ღირსეული პიროვნებები — მეგობრების სახით, უპირველესად მათ მოეთხოვებათ განაწყონ და დაიხმარონ ისინი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, საერთაშორისო სარბიელზე სისტემატიურად გაიტანონ ჩვენი ქვეყნის სიმართლე მის ფალსიფიკატორთა და გამყალბებელთა ასალაგმავად.

ნუთუ ასე ძნელია იმის გაგება, რომ აფხაზთა გონში, დიდი რეჟისორების წყალობით, ხელოვნურად ჩანერგილ სიყალბეს — აფხაზეთის მიწაზე ქართველი კაცის აგრესორობის შესახებ, როგორც მათში, ასევე გარე სამყაროში, სათანადო სამეცნიერო მტ-[illegible]ლიტიკური აზროვ-[illegible]დება. მხილებას კი მეცნიერებათა აკადემიის ამოძრავება და ამ მიმართებით ხელისუფალთაგან სათანადო ზომების მიღება, საქმეში გონიერების და სამართლიანობის ზენიტზე მდგომი მეცნიერების ჩართვით.




უბრალო მოკვდავთათვის თუ რაოდენ ძნელი უნდა იყოს სიმართლის გატანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, როცა ეს ძალზე გაუჭირდა თვით საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ ისტორიკოსს გურამ ყორანაშვილს, ნათლად ჩანს მის ამასწინანდელ საგაზეთო სტატიაში სათაურით: „ამბავი მეცნიერებათა აკადემიაში კედლებზე ცერცვის შეყრისა."

ხელისუფლების, მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრივ, დღემდე უყურადღებოდაა დატოვებული სოხუმიდან დევნილი ორი უდიდესი მამულიშვილის, ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსების ჯემალ გამახარიას და ბადრი გოგიას მიერ უნიკალური მასალების მოძიებით და მათ საფუძველზე, საკუთარი სახსრებით გამოცემული, ქართველთათვის (აფხაზებისთვისაც) და სიმართლით დაინტერესებული გარე სამყაროსათვის უაღრესად აქტუალური წიგნი „აფხაზეთი — საქართველოს ისტორიული მხარე (ოლქი)" (განსაზღვრულ მოსაზრებათა გამო წიგნი რუსულ ენაზეა შედგენილი) და არ აქციეს იგი მათივე განხილვის და გამოყენების საგნად.

მხოლოდ ერთეული, შურის გრძნობისაგან თავისუფალი, ჭეშმარიტად მამულიშვილი ისტორიკოსის მუხლჩაუხრელი მცდელობით და კუს ნაბიჯებით იკვლევს გზას დასახელებული წიგნი საზოგადოების მცირემცირე ჯგუფებში.

რა თქმა უნდა, პავლე ინგოროყვას ასევე უნიკალური წიგნის „გიორგი მერჩულე" ჩამქოლავი „კორიფე" მეცნიერების და ვაი ერისკაცების მიერ ასეთი საქციელი არცაა გასაკვირი, მაგრამ სადამდე?...

საზღვრებმოშლილი ქვეყნის გადასარჩენად არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა პოტენციალის სრულად და გამიზნულად გამოყენების ნაცვლად, ხელისუფლება გულდოდუკს უკმევს ახალ-ახალი აკადემიების დაარსებას და მათში თავისივე, ძველი თუ ახალი წარმომადგენლების, ფართოდ გაერთიანება-გააკადემიკოსობას.

კი ბატონო, გასაგებია, რომ ახალმა წესებმა საამისოდ ფართო გზა გაუხსნა აკადემიკოსობის წოდების ავადმყოფურად მაძიებელ პირებს, მაგრამ დაფიქრებულა კი რომელიმე მათგანი ჩვენს ბედში მყოფი ქვეყნის და ერის წინაშე სირცხვილის გრძნობის ტარების აუცილებლობით?

ქვეყანაში ამდენი აკადემიკოსი გვყავდეს და მაინც ყველა ნაღდი საქმისთვის, თუ დარგთა პრობლემების გადაწყვეტისათვის, უცხო ქვეყნებიდან მუდმივ იწვევდე თავისი საქმის მცოდნე უბრალო პროფესიონალებს, ექსპერტთა თუ კურატორთა სახით, სასაცილოა, ერისთვის სატირალი რომ არ იყოს.

დაწყებულია აკადემიკოსობის პარადი (მსგავსად ნაწილობრივ ჩავლილი პრეზიდენტობის პარადისა) და მას ალბათ, სირცხვილის გრძნობის დეფიციტის პირობებში, ვეღარავინ შეაჩერებს. ქვეყანა კი თავზე დაგვემხობა მათი და მათ მსგავსთა მხოლოდ წოდებრივი ყელყელაობის წყალობით, როგორც ტერიტორიულად, ასევე სულიერად და ეკონომიკურად.

ხელისუფლებამ ქართულ-აფხაზური პრობლემების დარეგულირებისათვის დღემდე, როგორც მეცნიერული პოტენციალის, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული და მრავალმხრივი გამოყენებაც ვერ შეიძლო.

საკვირველი და უაღრესად მტკივნეულია ის ფაქტი, რომ მიუხედავად საერთაშორისო სამართლის ნორმებთან საქართველოს მოთხოვნების სრული შესაბამისობისა, ჩვენს ეგრეთწოდებულ ლიდერებს მაინც მათხოვრულად გაუწვდიათ ხისერი ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე და წლობით ელოდებიან მათგან ერთიორი სიტყვის სამადლოდ გადმოგდებას.

ქართული მასმედიის ნაწილი ხელისუფლების წახედულობით თითქმის ყოველდღე შეახსენებს საზოგადოებას, რომ მავანმა ჩვენი ტერიტორიის ურღვევობა აღიარა და რომ ყველა ისინი ჩვენი მეგობრები არიან.

უნდა იცოდეს ჩვენმა გატანჯულმა ერმა, რომ ამ მიმართებით არავის წინაშე სამადლოვრო არაფერი გვაქვს და თუ ვინმე ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას ადასტურებს, ამით იგი საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას ამაგრებს და ამავდროულად ყველას შეახსენებს, რომ არავინ გაუბედოს თავისივე ქვეყნის ხელყოფა თანახმად საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა, თუნდაც საქმე ეთნოსთა თვითგამორკვევის უფლებას შეეხებოდეს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიული პრინციპის ურღვევობის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

ხელისუფლებამ კი ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის საზიანოდ, ხსენებულ მაღიარებელ ქვეყნებს „საქართველოს მეგობრები" უწოდა და ამით კიდევ ერთი უსაგნო გაღიზიანება გამოიწვია აფხაზთა შორის, ნაცვლად იმისა, რომ ისინი, როგორც გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფოები, საერთაშორისო სამართლის ნორმების მხარდამჭერებად ან უბრალოდ კონფლიქტის დარეგულირებაში სამართლიანობის დამცველებად მოეხსენებინა.

როცა დღენიადაგ ხელისუფალთა ბედოვლათური ღვაწლით გატანჯულ ერს შევცქერი, უნებლიეთ მახსენდება უდროოდ დაღუპული, სამხრეთ აფრიკელი ახალგაზრდა პატრიოტი პოეტი ქალის — ინგრიდ იონკერის სიკვდილის წინ დაწერილი სიტყვები: „მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია, არ ძალმიძს ავიტანო ყოველივე ის, რაც რომ ჩემს ირგვლივ ხდება...". მან თავისი ეს ბოლო ბარათი ოკეანის სანაპიროზე დატოვა, თავად კი შიგ შეცურა და იქიდან უკან აღარ დაბრუნებულა.

იონკერის სულიერ განცდებს მე სრულად ვიზიარებ, რაშიაც ალბათ მარტო არა ვარ საქართველოში. მაგრამ მის ბოლო ნაბიჯს ვერ გავიზიარებ, რადგანაც აფხაზეთი, და შიდა ქართლის დიდი ნაწილი დასაბრუნებული და მამულის ყველანაირად მოშლილი საზღვრები აღსადგენი გვაქვს.

ღმერთმა ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრად აღიარა და მით მისი მოვლა-პატრონობისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაგვაკისრა. მართლაცდა, ერმა, რომელსაც ეს უმაღლესი ნება ძალას მატებდა, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი სხვადასხვა ქარტეხილებისა, ერთეულ უმაღლეს მამულიშვილთა, ჭეშმარიტ ერისკაცთა წყალობით, ქართული სულიერების ქვეყანა დღემდე მოიყვანა.

ღვთისმშობლისადმი ჩვენი ქვეყნის წილხვედრილობა და ამით მისი გადარჩენის აუცილებლობა მომდინარეობდა რა თვით უფლის ნებისაგან, ქართველმა კაცმა სამშობლოს ცნება თავიდანვე ღმერთის სიმაღლიდან აღიქვა და თავის გონში და სულში ჭეშმარიტებასთან სამშობლოს ცნების განუყოფელობის რწმენა ატარა. ხოლო მაშინ, როცა სიფხიზლეს კარგავდა და ჭეშმარიტების არსს სამშობლოს ცნებას დააცილებდა და დაავიწყებდა კიდეც, სწორედ მაშინ ქვეყნის და ერის დასანგრევად და სატანჯველად გზა ეხსნებოდა შიგნით თუ გარეთ შემოჯარულ სატანისეულ ძალებს. ამიტომაც, სწორედ ამ რამდენიმე წლის წინ ქუხილად გაისმა ეროვნულ ძალთა აღშფოთება, როცა მათ ჭეშმარიტებისაგან სამშობლოს ცნების დაცილება შესთავაზეს (იქნებ უნებლიედ, მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობის სიმაღლეების სხვაობიდან...).

აღნიშნულის გამოა ასე რიგად ამაღლებული სამშობლოსათვის უანგაროდ გაწეული ღვაწლი და ამიტომაც ერისათვის მუდამ მისხალ-მისხალ შესაფასებელია მათგანვე ხელდასმულ თუ უარყოფილ ხელისუფალთა გადადგმული თითოეული ნაბიჯი.

უნდა ფხიზლობდეს ერი და ყოველი ჩვენგანი საქვეყნო საქმეთა მიმართ, აკი დავით აღმაშენებლის და ყველა უმაღლესი მამულიშვილის ყოფა და თხოვნაც ერისადმი მუდმივი სიფხიზლე იყო, ხალხის ერთობის განმტკიცების, სულიერ-გონებრივი ამაღლების და ქვეყნის საზღვრების მოვლა-პატრონობის მიზნით.

**გულიკო ურუშაძე**
*იურისტი*



# მრავალნაირი მაკონტროლებლები ნამდვილი უკონტროლობის მიზეზი

(მე-5 გვერდიდან)

დაცვის მსოფლიო პრაქტიკის გაცნობას. დღეს მათ ამ მხრივ საკმაოდ სრულყოფილი კანონმდებლობა და პრაქტიკა გააჩნია. ჩვენ დამყარებული გვაქვს ურთიერთობა ამ ქვეყნებთან. მაგალითისთვის, თურქეთში ყველა ხარისხიან პროდუქციას უნდა ჰქონდეს ნიშანი TSE. თუ მათ ასეთი დამღა აქვთ, შეგიძლიათ ესეთი პროდუქცია უშიშრად შეიძინოთ. ამ დებულების დამრღვევს საკმაოდ დიდი სანქციები ემუქრება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ატეხილი ანტირეკლამა ბაზარს მთლიანად აკარგვინებს. ესეთ ნიშანს მალე ჩვენც შემოვიღებთ. დიზაინერები მის შექმნაზე უკვე მუშაობენ. ეს ადგილობრივი კეთილსინდისიერი მეწარმეების ძლიერი დაცვა იქნება.

მომხმარებელთა დაცვის ორგანიზაციები უნდა იყოს საზოგადოებრივ საწყისებზე. მერიაში არსებული ასეთი სამსახური ჩვენთან რომ იყოს, უფრო დიდი ეფექტი ექნება. მათი ფუნქციები და მნიშვნელობა ამით საკმაოდ გაიზრდებოდა.

მეტროლოგია არანაკლებ მტკივნეული საკითხია. ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც „ლიცენზიის კანონი" იხილებოდა, ჩამონათვალში არ იყო საკონტროლო საწონი ხელსაწყოები. ე. ი. ნებისმიერს შეუძლია სასწორი და საწონები დაამზადოს, რასაც ეს გამოიწვევს, კარგად მოგეხსენებათ. გვაქვს შესანიშნავი მეტროლოგიის ინსტიტუტი, რომლის თემატიკის დაფინანსება ძალიან მწირია.

მოგიყვებით მე-9 ბლოკის ამბავს. ეს ბლოკი ისე გაეშვა, ჩვენი სამსახურისთვის სტანდარტები არავის მოუთხოვია. აქ დაყენებული გამზომი ხელსაწყოები არ იყო რეგისტრირებული. არავინ იცოდა, რა ხარისხისაა საწვავი. მერე ჩვენთან მოვიდნენ და გვთხოვეს, რომ დაგვემოწმებინა ეს აპარატურა. ეს ნიშნავდა, რომ მოგვეტყუებინა სახელმწიფო და უბრალოდ ხელი მოგვეწერა სიყალბეზე.

ადრე ჩვენს სისტემაში 800-მდე სპეციალისტი მუშაობდა (დაწესებულებების ჩათვლით). ამის გარდა, დეპარტამენტში 500-მდე სპეციალისტი იყო დასაქმებული. დღეს, მთელ საქართველოში 320 მუშაკია. ადრე ყველაფერი, მზამზარეული დოკუმენტაცია მოსკოვიდან მოდიოდა. დღეს სტანდარტები ჩვენი შესაქმნელია.

სპეციალისტების მომზადების მხრივაც ჯეროვნად არ არის საქმე. გვინდა ჩვენს სამსახურში გავხსნათ კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში დაიწყეს ჩვენი სპეციალობის სწავლება. ჩვენ მთავრობაში შევედით თხოვნით, რამდენიმე სპეციალისტი საზღვარგარეთ მოვამზადოთ, მაგრამ ამის გაკეთების საშუალებას ჩვენი მწირი ბიუჯეტი არ იძლევა.

თანამედროვე ერთი სტანდარტის შექმნა 5000 დოლარი ჯდება. დღეს ჩვენს საცავებში 21000 ძველი სტანდარტი ინახება. ჩვენ მინიმუმ 5000 ახალი სტანდარტი გვესაჭიროება. ასევე საჭიროა ახალი ეტალონები. მთელ ამიერკავკასიაში დროის და სიხშირის ეტალონები მხოლოდ საქართველოს გააჩნია. სახელმწიფომ ნორმალურად რომ იფუნქციონეროს, მინიმუმ 25 ეტალონი ესაჭიროება, ჩვენ კი მხოლოდ 3 ეტალონი გვაქვს.

დღესდღეობით მთლიანად ბიუჯეტის დაფინანსებაზე ვართ. იმედი გვაქვს, ჩვენთან შემოსული გადასახდელების და ჯარიმების პროცენტი ჩვენი სამსახურის ანგარიშზე დარჩება და ეს მატერიალური ბაზის განვითარების საშუალებას მოგვცემს. ჩვენთან ხელფასებიც მცირეა. ძალიან ძნელია ინსპექტორს 35-40 ლარი გადაუხადო და იგი მილიონიანი საქონლის შესამოწმებლად გაუშვა. ხომ გესმით, რამხელა ცდუნება იქმნება.

მომავალს იმედიანად ვუყურებთ. გვაქვს პარლამენტის მხარდაჭერა. მზადდება კანონი „სახელმწიფო სტანდარტების" შესახებ. იმედია, გამოვნახავთ საშუალებას თანამედროვე აპარატურა შევიძინოთ. ამის გარეშე თანამედროვე კონტროლის განხორციელება შეუძლებელია.

ვაპირებთ მომსახურების სფეროს სტანდარტებზე მუშაობას. ეს ალბათ, პირველ რიგში, სასტუმროებს (ვარსკვლავების მინიჭება ასევე სტანდარტებით ხდება), რესტორნებს და სხვა ასეთ ობიექტებს შეეხება.

შევიმუშავეთ ახალი აკრედიტაციის წესი (უფლება შეამოწმონ პროდუქცია და გასცენ შესაბამისობის სერთიფიკატი).

პირველი იანვრიდან საქართველო საერთაშორისო სტანდარტიზაციის წევრი გახდა. ეს აუცილებელი პირობაა მომავალში საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისა.

**კობა ბრეგვაძე**

## გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ბ-ნ სერგო ჯანაშიას

*დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე ვბეჭდავთ ქ. თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის ყოფილი თუ ძალაში მყოფი დირექტორის (ეს სასამართლოს პრეროგატივაა), მირიან ანდრიაძის წერილს, რომელიც პასუხია ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ კ. ბრეგვაძის წერილისა „ორნი ყველას წინააღმდეგ ანუ როგორ გადაემტერა ძველი დირექტორი და პროფკავშირის თავმჯდომარე თავის კოლექტივს", ბატონი მირიანი გვთხოვს, რომ ჩვენმა კორესპონდენტმა საქმის ვითარებაში ღრმა ჩახედვით შეისწავლოს მასალები და გააშუქოს სიმართლე. ბატონი კ. ბრეგვაძე, რომელიც, სხვათა შორის, კვალიფიციური ეკონომისტია, კიდევ ერთხელ გადაამოწმებს აღნიშნულ საქმეს და გამოხატავს თავის პოზიციას.*

თქვენი დავალებით 1998 წ. 30 აპრილს თბილისის სასკოლო ინვენტარების ფაბრიკაში პროფკავშირის კრებაზე მივლინებულ იქნა გაზეთის კორესპონდენტი — კობა ბრეგვაძე. თქვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ მის წერილთან დაკავშირებით მსურს მოგცეთ რამდენიმე განმარტება.

გასული წლის 5 მარტიდან ფაბრიკას იძულებით მოწყვეტილი ვარ და არანაირი კავშირი წარმოებასთან დროებით არ მაქვს. ფაბრიკა ჩემი უშუალო მონაწილეობით და ძალისხმევით იქნა გამოსყიდული, ჩემს მიერ გადაბარება ფაბრიკისა არ ჩატარებულა, ბეჭედი არავის გაუუქმებია, კოლექტივის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებისთვის საჭირო ხმების რაოდენობით არ გადავურჩევივარ, ასე რომ, დირექტორი დღესდღეობით კვლავ მე ვარ (მიუხედავად კონტროლის პალატის მესვეურთა დიდი მონდომებისა, მათ მიერ ფალსიფიცირებული კრება მაქვს მხედველობაში), ხოლო ის დაჯგუფება, რომელმაც ცილისწამებით დროებით დაიკავა ჩემი ადგილი, ჩემს მიმართ ჩადენილ უკანონო ქმედებათა გამო დიდ ძრწოლვას განიცდის და უფრო ამძიმებს მათ დანაშაულობათა ნუსხას.

თუ რა შედეგები იყო ფაბრიკაში ჩემი მუშაობის პერიოდში, შეგიძლიათ გაარკვიოთ რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროში, სადაც გეტყვიან, რომ ეს თითქმის ერთადერთი ფაბრიკა იყო საავეჯო დარგში, რომელიც მუშაობდა 1997 წლამდე, ჰყავდა მძლავრი კოლექტივი 200 მუშა-მოსამსახურისაგან შემდგარი, რომელთა თვიური ანაზღაურება საშუალოდ შეადგენდა 160 ლარს. ჰყავდა განთავისუფლებული პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და იყო თითქმის იდეალური წარმოების მაგალითი დღეს რესპუბლიკაში გაჩანაგებულ, გაჩერებულ საავეჯო თუ სხვა საწარმოების ფონზე. იკითხეთ საზოგადოებაში და მიხვდებით, რომ ეს ყველაფერი ჩემი და ჩემი კოლექტივის ძალისხმევით იყო შენარჩუნებული და არა იმ შემთხვევითი დაჯგუფებისა, რომელიც დღესდღეობით მოკალათდა ფაბრიკაში და ყველანაირი ხერხებით ცდილობენ ჩემს მიმართ ჩადენილი მთელი რიგი უკანონობის, შანტაჟის და სხვა მაქინაციების არ გამომზეურებას და ცილისწამების გზით ცდილობენ ჩემზე კოლექტივის ამხედრებას, საზოგადოებაში კი ცუდი იმიჯის შექმნას.

მოვითხოვ კ. ბრეგვაძემ საქმის ვითარებაში ღრმა ჩახედვით შეისწავლოს მასალები, შეიქმნას რეალური წარმოდგენა საქმეზე და აქედან გამომდინარე თქვენივე გაზეთის ფურცლებზე გააშუქოს სიმართლე.

პატივისცემით

**მირიან ანდრიაძე**

ქ. თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის დირექტორი
1998 წ. 7 მაისი

# მეღვინეობა დღევანდელ საქართველოში

რამდენიმე დღის წინ სანკტ-პეტერბურგში გამართულ საერთაშორისო კონკურსში საქართველოდან გაგზავნილმა „სამების" ფირმის ოთხივე სახის ღვინომ მედლები მოიპოვა. მეღვინეობის საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება ფირმა „სამების" პრეზიდენტი ბ-ნი **ზურაბ ტყემალაძე**.




საქართველოს მეღვინეობისა და მევენახეობის უძველესი ტრადიცია გააჩნია. ისტორიული მონაცემებით საქართველოში უკვე 30 საუკუნეა ღვინო მზადდება. ამ ხანგრძლივ პერიოდში ქართულმა მეღვინეობამ რთული პერიოდები გაიარა, მაგრამ ქართველმა კაცმა დღემდე შემოინახა ვაზის მოვლისა და ღვინის წარმოების ტრადიციები.

საქართველოში ყოველ წელს 30-35 მლნ დეკალიტრი ღვინო იწარმოება. აქედან 6 მლნ დეკალიტრი ადგილობრივი მოხმარებისთვისაა საკმარისი, დანარჩენის ექსპორტი ხდება. თუმცა, დღეს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მოვლენებმა ძალიან გაართულა ღვინის გატანა. 1987-90 წლებში ყველაზე დიდი ექსპორტიორი საქართველოსთვის პოლონეთი იყო, რომელიც ყოველ წელს 10 მლნ დეკალიტრ ღვინოს ყიდულობდა. მაშინ ვალუტით ანგარიშსწორება არ ხდებოდა და ძირითადად ბარტერული გაცვლებით ვმუშაობდით. ჩვენ ვიყავით პირველები, რომლებმაც ამ გაცვლით კომპიუტერები შემოვიტანეთ საქართველოში. დღეს არასწორმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ძალიან დიდი ბაზარი — რუსეთი ლამის დაგვაკარგვინა. ყველასთვის ნათელია, რომ დღეს ამ უკიდეგანო ბაზრისთვის მსოფლიოს მრავალი ქვეყანა იღწვის. ჩვენ, საშუალებაც რომ მოგვცენ, ამ ბაზარს მთლიანად მაინც ვერ დავაკმაყოფილებთ, მაგრამ ჩვენი ნიშა კი უნდა გვქონდეს, საქართველოს ღვინის დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია.

ბრძოლამ რაოდენობისათვის ფალსიფიცირებული ღვინის წარმოება გამოიწვია. დღესაც ჩვენს ბაზარზე უამრავი ფალსიფიცირებული ღვინო ისხმება.

ჩვენი ჩამოსხმული ღვინო ნებისმიერ ფრანგულ ღვინოს გაუწევს კონკურენციას. ჩვენთან შემოსული უცხოური სასმელები ჩვეულებრივ დაბალი ხარისხისაა, მაგრამ კარგადაა შეფუთული.

საფრანგეთში მეღვინეობას მშვენიერი პირობები აქვს განვითარებისათვის. ღვინის მწარმოებლებს ეძლევათ სუფსიდიები, აქვთ ძალიან იაფი კრედიტის აღების საშუალება (4-5% წელიწადში). ძლივს დავარწმუნეთ სავალუტო ფონდის ყოფილი წარმომადგენელი შადმან ვალავი, რომ მეღვინეობა და მევენახეობა საქართველოში აუცილებლად უნდა განვითარდეს.

1996 წელს გამოიყო 24%-იანი 5 მილიონიანი კრედიტი ყურძნის დამზადება-გადამუშავებაზე. კიდევ ერთხელ გადარჩა მევენახეობა. დაბრუნებულია 4,5 მლნ ლარი და ამის გარდა სხვადასხვა გადასახადების სახით ბიუჯეტში კიდევ 4 მლნ ლარი შევიდა. მეღვინეობა ისეთი დარგია, სადაც ამოგება უცბად არ ხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ დარგში დაბანდებული ფული ბიუჯეტში ორჯერ გაზრდილი რაოდენობით დაბრუნდება.

საქართველოში გადასახადები ძალიან მაღალია. ვიხდით ყველა გადასახადს, მაგრამ, როგორც ატყობთ, ფასიც ამის გამო ძალიან გვეზრდება. როგორ შეიძლება, თუ ტექნოლოგია არ დაარღვიე და გადასახადები არ დამალე, რომ ღვინო ჩვენს ფასზე ორჯერ და სამჯერ ნაკლები იყოს. ფალსიფიცირებულ ღვინოს მარტო რუსეთში არ ამზადებენ. საბაჟო დეპარტამენტში უამრავი ფაქტი შეიძლება აღმოაჩინო, როცა ყალბი სერტიფიკატებით გატანილია „ხვანჭკარა" და „ქინძმარაული" მაშინ, როცა გასაყიდად „ხვანჭკარა" ბოლო 10 წლის განმავლობაში არც კი ჩამოსხმულა.

ქართველ მრეწველებს ხელი უნდა შეეწყოს. ისეთი პირობები უნდა შეიქმნას, რომ პირადად ადგილობრივი პროდუქციის შექმნაზე 20 კაცი დასაქმდეს, ხოლო რეალიზაციაზე 1 კაციც საკმარისი იქნება.

და მაინც ოპტიმისტურადა ვართ განწყობილი, თუ ხელი შეგვეწყო, მეღვინეობა საქართველოს ბევრ სარგებლობას მოუტანს. „ვაზო, შენს გამო არ ვართ მოცლილი", — ამბობს ქართველი, რომელსაც ჯვარი — ვაზისა აურჩევია და საგალობლად — „შენ ხარ ვენახი".

**კობა ბრეგვაძე**

## სატირა

### სულის ძახილი

ნიკოლოზ იოსებიძე

ისე, როგორც ყველას სხვებს,
გაუჭირდა კახელ გლეხს,
საკუთარი ოჯახის
რჩენას ველარ ახერხებს.
უღალატეს გლეხებმა
მამა-პაპურ ადათებს,
ტვინი არაეთიკურ
და მცდარ აზრზე გადართეს.
დაერივნენ ვენახებს,
უმოწყალოდ აჩეხეს,
„რქაწითელის" ადგილზე
„ყარფუზები" დათესეს.
თურმე ზვარში სადაც ვაზს
ფესვი ჰქონდა მიწაში,
უკვე ფერფლად ქცეული
მევენახე იწვა შიგ.
თურმე სული მეზვრისა,
ყოველ ახალ მთვარეზე,
ვენახის ამჩეხველებს
უბრახუნებს კარებზე.
და ყველას გასაგონად
თხოვნა-ხვეწნით ეძახის:
სამშობლოს ღალატია
ამოძირკვა ვენახის!
არ აჩეხოთ ვენახი!
არ აჩეხოთ ვენახი!

# ბრავო! ბრავო! ბრავო!

# „მომავალ შეხვედრამდე“ — ბრძანა პაატა ბურჭულაძემ

29 აპრილს, როდესაც ვლადიმერ სპივაკოვმა ორი არაჩვეულებრივი კონცერტი გამართა, არ მეგონა შემდეგში იმაზე მეტი თაყვანისმცემელი თუ მოვიდოდა ოპერის თეატრში, ვიდრე ეს 29 აპრილს იყო. მაგრამ ქართველმა მუსიკის მოყვარულებმა და მსმენელებმა საოპერო მუსიკის სიყვარულით 30 აპრილს რიყეზე გამართული კონცერტის დროს დიდ წვიმას გაუძლეს და სრული ერთგულება გამოიჩინეს კონცერტის მონაწილეთა, თუ მომწყობთა მიმართ და არ დაუკლიათ თავისი მქუხარე ტაში მათ მიერ გამართული კონცერტებისათვის... 4 მაისს კი ოპერის თეატრში გამართულმა „რიგოლეტომ“, რომელშიც მონაწილეობას იღებდა შესანიშნავი კვარტეტი კალუდი კალუდოვის (მანტუის ჰერცოგი), რენატო ბრუზონის (რიგოლეტო), ანდრეა როსტის (ჯილდა), პაატა ბურჭულაძის (სპარაფუჩილე) შემადგენლობით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... ხალხით სავსე დარბაზი თავიდან თითქოს ძნელად დასამორჩილებელი გახდა, მაგრამ სულ რამდენიმე წუთში ვახტანგ მაჭავარიანმა და ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა შესძლო მათი „აყვანა“... არასდროს დაავიწყდება ქართველ მსმენელს ეს საღამო, როდესაც რენატო ბრუზონისა და ანდრეა როსტის დუეტმა „ცრემლად დაღვარა“ მაყურებელი. ჩვენი ყოფითი პრობლემებისგან გადაღლილმა მაყურებელმა თავისი გრძნობა ცრემლით გამოხატა... და ეს შეძლო ხელოვნებამ, რომელიც სულიერი გამოვლინების ერთ-ერთი აქტიური მეტაფორაა.

6 მაისს კი ფესტივალი „აიდა“-თი დაიხურა. აქ კი მაყურებელს წარუდგა ვარსკვლავთა სამეული: სტეფანია ტოჩიშკა, ქრისტიან იოჰანსონი და ალესანდრა მარკი...

ანდრეა როსტს ქართველმა მაყურებელმა სრული ოვაცია მოუწყო. მაგრამ 2 დღის შემდეგ, როდესაც ალესანდრა მარკმა აიდას პარტია შეასრულა „აიდაში“, დაიწყო თუ არა ოპერა, რატომღაც პირველი შთაბეჭდილება ასეთი მივიღე: „თუ „რიგოლეტო“-ზე ოპერის თეატრი „დანგრევას“ გადაურჩა (ვგულისხმობ როსტისა და ბრუზონის დუეტისგან გამოწვეულ აპლოდისმენტებს მსმენელისგან), „აიდაზე“ უთუოდ ეს ელის ოპერის თეატრს“.




მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ყოფითმა პრობლემამ თავი ამ „უდროო განზომილებაშიც“ შეგვახსენა (ოპერის მსვლელობის დროს ოპერის თეატრში მცირე დროით სინათლე გამოირთო), უცხოელმა მომღერლებმა, რომელნიც ხშირ შემთხვევაში პრეტენზიულნი არიან, ჩვენთან მათ ეს მოვლენა საკმაოდ ჩვეულებრივად და სრულიად უბრალოდ მიიღეს და რომ იტყვიან, „მტრის ჯინაზეო“, ყველა ძონაწილე ორმაგი ენერგიით შეუდგა სპექტაკლის მსვლელობას და საქართველოთი მოხიბლულმა ჩვენმა სტუმრებმა არაჩვეულებრივად დაასრულეს ფესტივალი „ბრავო“-ს ბოლო საკონცერტო ნომერი, რომელსაც უძღვებოდა ქართველი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი... დირიჟორობისათვის — 1991 წლის დეკემბერში ვიმყოფებოდი სტუმრად სანკტ-პეტერბურგში, პეტერბურგში პოპულარულ და ქართველ მუსიკოსთა წრეშიც კარგად ცნობილ პეტერბურგელი დირიჟორის რავილ მარტინოვის ოჯახში. ერთხელ, საუბრის დროს, მან ხაზგასმით აღმინიშნა: „ქართველებს გყავთ ერთი საკმაოდ კარგად მომზადებული და საოცრად ინტელექტუალური დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი“. მას შემდეგ სულ მქონდა იმის სურვილი, რომ მენახა ეს ახალგაზრდა დირიჟორი სადირიჟორო პულტთან. ამ საღამოს შემდეგ კი ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: — ზაზა აზმაიფარაშვილი ის დირიჟორია, რომელიც ზუსტად იყო შერჩეული საფესტივალო პროგრამის დასასრულს სადირიჟორო პულტთან დგომისათვის.




დასრულდა ფესტივალი ღელვით, სიხარულით და დღესასწაულებრივი განწყობით. ქალბატონმა მაია დათუნაშვილმა, რომელიც ცხრა დღის მანძილზე სამაგალითოდ უძღვებოდა ფესტივალს, პაატა ბურჭულაძის ფონდის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ მსმენელს და მაყურებელს, რომელმაც არ მოაკლო გულთბილი დამოკიდებულება და მქუხარე ტაში არც ფონდის შრომას.

პაატა ბურჭულაძის ფონდის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ყველა იმ პირს, ვინც მათი შრომა დააფასა და დაეხმარა, მაგრამ ქართველ ხალხს სამადლობელი თავად აქვს პაატა ბურჭულაძესთან... მეოცე საუკუნის ბოლო ათი წლის მანძილზე, თუ ვინმემ „დიდი“ გააკეთა საქართველოსთვის, ერთ-ერთი პირველი პაატა ბურჭულაძეა.

მადლობა მეორე მხრივაც არის სათქმელი. პაატა ბურჭულაძემ წარმოაჩინა და უდიდესი ვარსკვლავების გვერდით დააყენა ბევრი შესანიშნავი ქართველი მუსიკოსი და ყველანაირი საშუალება შეუქმნა მათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა. ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს არაჩვეულებრივად ესთეტიური მუსიკოსები და შემსრულებლები ჰყავს. ასე რომ, ფესტივალი „ბრავო“ ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების წარმოჩენითაც ძალიან საინტერესო იყო (საქართველო ძირითადად ხომ ერთი და იგივე მუსიკოსების გვარებზე კონცენტრირდებოდა).

„მომავალ შეხვედრამდეო“ — ბრძანა პაატა ბურჭულაძემ და ჩვენც მას და მის გუნდს მისი სიტყვებიდან გამომდინარე — მომავალში შეხვედრის იმედით ვემშვიდობებით.

**ნათია ბახტაძე**

# არტისტობა უნიღბოდ შეუძლებელია

სტუდენტობა... თეატრალური ინსტიტუტი. აუდიტორია ყოველთვის სავსე იყო სტუდენტებით, რომლებიც სხვა ინსტიტუტებიდანაც ესწრებოდნენ ლექციას, რათა მოესმინათ მისთვის...

ბატონი აკაკი ბაქრაძე, ჩემი უსაყვარლესი პედაგოგი, საუბრის თავისებური, დახვეწილი მანერითა და საკუთარი ხედვის განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული ადამიანი...

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს განსაკუთრებით გვეამაყებოდა ის, რომ ბატონი აკაკი ქართულ ლიტერატურას გვიკითხავდა. მაგრამ მან უფრო მეტი გვასწავლა, ვიდრე ეს საგანი!..

როგორც მისმა ყოფილმა სტუდენტმა, მოვიკრიბე სითამამე და გავესაუბრე მას ისეთ საკითხებზე, სადაც არც ერთი პოლიტიკური კითხვა არ შეგხვდებათ... თუმცა, პოლიტიკამ, მასზე საუბრებმა, იქნებ, გადაგღალათ კიდეც!

— **ბატონო აკაკი, თქვენი აზრით, რომელია ჩვენი ერის გამორჩეული, საუკეთესო თვისება და არცთუ ისე საუკეთესო?**

— ერი იმდენად რთული და მრავალფეროვანი მოვლენაა, რომ მეეჭვება ვინმეს შეეძლოს გამოყოს და გამოკვეთოს მისი რაიმე საუკეთესო ან ცუდი თვისება. მართალია ვწერთ, ვიკვლევთ, ვცდილობთ ამოვიცნოთ ამა თუ იმ ერის თვისებანი, მაგრამ თანდათანობით ვრწმუნდებით, რომ ეს ამაო შრომაა. ალბათ, ქართველ ხალხს იგივე დადებითი თვისებები აქვს, რაც ყველა ხალხს და იგივე უარყოფითი თვისებები, რაც ყველა ხალხს მსოფლიოში.

— **ძნელად სატარებელი ნიღაბი ნებისმიერი ადამიანისათვის?!**

— ყოველგვარი ნიღაბი ძნელად სატარებელია. სხვათა შორის, 30-იანი წლების ქართული მწერლობა ბევრს ლაპარაკობდა ნიღბოსანი ადამიანის პრობლემაზე, მაშინ ეს მეტად მტკივნეული საკითხი იყო. რაკი კომუნისტური ხელისუფლება მოქალაქეებისაგან ითხოვდა სოციალიზმის ტოტალურ სიყვარულს, ყველა იძულებული იყო ნიღაბი ეტარებინა. უყვარდა თუ არ უყვარდა სოციალიზმი, მაინც ყველას თავი მის მოტრფიალედ უნდა ეჩვენებინა. როცა დღეს ნიღაბი ჩამოიხსნეს, მეტისმეტად მახინჯი სახეები გამოჩნდა. უნიღბო ადამიანი უნდა ალვზარდოთო, — ასეთი იყო იმჟამინდელი სჯა-ბაასის დასკვნა. დასკვნა კარგია, მაგრამ განუხორციელებელია. მართალია, ნიღბის ტარება ძნელია, მაგრამ ადამიანი მისდაუნებურად რაღაც ნიღაბს მაინც ატარებს. ადამიანში ბუნებით ჩანერგილი არტისტიზმია და არტისტობა უნიღბოდ შეუძლებელია.



— **რომ შეიძლებოდეს, რას ეტყოდით ან ჰკითხავდით ადამს და ევას?**

— ვეტყოდი დიდ მადლობას იმისათვის, რომ სცოდეს, თორემ, მოწყენილობა და ერთფეროვნება დაახრჩობდა კაცობრიობას.

— **რა გაკვირვებთ დღესდღეისობით ყველაზე მეტად?**

— მე უკვე იმ ასაკში ვარ, როცა გასაკვირველი აღარ ხდება.

— **თქვენი აუხდენელი ოცნება, თუკი საიდუმლო არ არის...**

— სხვა პლანეტაზე მოგზაურობა.

— **ყველაზე ძვირფასი საჩუქარი.**

— სიცოცხლე.

— **როგორ ფიქრობთ, ბავშვის აღზრდაში მამა მთავარი ფიგურაა თუ მხოლოდ დამხმარე?**

— ბავშვის აღზრდაში მთავარი ფიგურა დედაა. მამას შეუძლია არსებითი როლი შეასრულოს ამ საქმეში, მაგრამ განმსაზღვრელი, მაინც დედაა. მამაკაცი, როგორი ნიჭიერიც და ჭკვიანიც უნდა იყოს იგი, მაინც ვერასოდეს ამოიცნობს იმ საიდუმლოს, რომელიც დედა-შვილს შორის არსებობს. ცხრა თვე დედის წიაღში ყოფნა ისეთ კავშირს ქმნის დედა-შვილს შორის, რომ მისი გაგება, გრძნობა და ძალა, მხოლოდ ქალისთვის არის მისაწვდომი. საერთოდ, ადამიანის არსებობა დიდი ღვთაებრივი საიდუმლოა. დედა-შვილის კავშირი კი — ამ საიდუმლოს ყველაზე რთული კვანძი. ამის გამო დედას შვილის აღზრდაში მეტი ძალუძს, ვიდრე მამას.

— **როგორი უნდა იყოს თქვენი აზრით, თანამედროვე ქართული ოჯახი?**

— ძალიან ძნელი სათქმელია, ოჯახი იმდენნაირია, რამდენი ადამიანიც არსებობს, მის სახეს ბევრი რამ განაპირობებს. ცოლ-ქმრის პიროვნული თვისება-ხასიათი, შთამომავლობა, განათლების დონე, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობა, ქალისა და ვაჟის სექსუალური ბუნება. ერთი სიტყვით, აქ რაიმე რეცეპტის გამოწერა შეუძლებელია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ღმერთი როგორ ადამიანებს შეახვედრებს ერთმანეთს.

— **ბედისწერის თუ გწამთ?**

— მწამს.

— **განქორწინებაზე რას იტყოდით?**

— არაფერს, ცოლქმრული ურთიერთობის ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენაა.

— **როგორ ფიქრობთ, ახლადშექმნილმა ოჯახმა ცალკე უნდა იცხოვროს თუ მშობლებთან ერთად?**

— რა თქმა უნდა, ცალკე. თაობათა შორის იმდენი წინააღმდეგობაა და იმდენი განსხვავებაა, რომ ახალი ოჯახი ყოველთვის ცალკე უნდა ცხოვრობდეს. ახალი ოჯახი ახალი სამყაროა. იგი ძველ სამყაროს ვერ ეგუება და ვერ ეთვისება.

— **თქვენი აზრით, რამდენი შვილი უნდა იყოლიოს ქალმა, რამდენსაც ღმერთი მისცემს, თუ რამდენი შვილის გაძღოლის უნარიც აქვს?**

— რამდენიც სურს და რამდენის აღზრდის უნარიც აქვს.

— **რას ვერ აპატიებთ მამაკაცს და რას ქალს?**

— კი მაგრამ, ადამიანს ვინ მიანიჭა პატიებისა და არპატიების უფლება: რით არის ერთი ადამიანი მეორეზე აღმატებული, რომ მოყვასმა მოყვასი განსაჯოს? პატიება-არპატიება უზენაესის უფლებაა. ადამიანი არ უნდა იყოს იმდენად ამპარტავანი, რომ მსაჯულის როლი იკისროს.

— **შარვლის ტარებას, „სიგარეტის“ მოწევას თუ მინი კაბის ჩაცმას აუკრძალავდით, ქალიშვილი რომ გყავდეთ?**

— სიგარეტის მოწევა და მინი კაბის ან შარვლის ტარება ხომ ერთნაირი კატეგორიის მოვლენები არაა. სიგარეტის მოწევა ადამიანის (განსაკუთრებით ქალის) ჯანს არღვევს. მინი კაბა და შარვალი კი უბრალოდ მოდაა. დღეს იქნება, ხვალ აღარ. დრო რომ გავა, ისევ გაიხსენებენ. მოდას კი ჭკვიანი ადამიანები იმისდა მიხედვით ატარებენ, უხდება თუ არა იგი მის სხეულს. თუ მინი კაბა ან შარვალი უხდება ქალის სხეულს, უნდა ატაროს. თუ არ უხდება, არ უნდა ატაროს.

სიგარეტის წევას კი უარყოფითად ვუყურებ. ეს შეიძლება იმის ბრალიც არის, რომ თავად მე, არასოდეს მომიწევია. თუთუნის მყრალი სუნი

გაგრძელება მე-11 გვ.

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT

# „ინტერმა“ სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაამთავრა

ჩვენს გულშემატკივრებში სეზონის ბოლოს „ინტერი“ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. თუმცა, გუნდის მიმართ ყურადღება ამ სეზონში, არასდროს მოკლებია. „ინტერში“ ხომ ვარსკვლავთა მთელი გუნდი თამაშობს. აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო შეძლებენ თუ არა ჩემპიონატში განცდილი მარცხის შემდეგ ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად მოგებისათვის განწყობას. როგორც ეტყობა რონალდოსა და მის კამპანიას გათვითცნობიერებული ქონდა თამაშის დიდი მნიშ-



ვნელობა. ეს ძალზე ადვილი შესამჩნევი იყო. რონალდოს მოქმედებებით. თავდამსხმელი, რომელიც მთელი სეზონის მანძილზე თავისი გუნდის საჯარიმოში თითქმის არ შესულა, ამჟამად შავ სამუშაოსაც კადრულობდა. როგორ ყოველთვის მინდორზე ნაყოფიერად ირჯებოდა ჯორკაეფი, მთლიანად გამოამჟღავნა თავისი შესაძლებლობები ივან სამორანომ. მან კარგად ისარგებლა იმით, რომ „ლაციოს“ დაცვას მთელი ყურადღება რონალდოზე ჰქონდა მიპყრობილი. იგი კი ხშირად მეთვალყურეობის გარეშე რჩებოდა. მისი უმეთვალყურეოდ დატოვება კი, რომ არ შეიძლება, ამ თამაშშიც კარგად გამოჩნდა.

„ლაციო“ კარგი ხასიათით ჩავიდა პარიზში მათ ხომ იტალიის თასი მოიპოვეს სულ რაღაც ერთი კვირის წინ. თანაც ფინალში ლეგენდარული „მილანი“ დაამარცხეს. როგორც ეტყობა ამ მოგებამ დათვური სამსახური გაუწია გუნდს. მათი თავდაჯერება თამაშის დროსაც იგრძნობოდა, თუმცა რეალური საფრთხე მეტოქის კართან არ შეუქმნიათ. ერთადერთი ვინც გამოირჩეოდა „ლაციოს“ შემადგენლობაში — მანჩინი იყო. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ძლიერი ფეხბურთელია. თანაც, როგორც ჩანს ძალზედ საჭირო „ლაციოსათვის“.

როგორც ჩანს „ლაციო“ ჯერ მზად არ არის ასეთი რანგის ტურნირის გამარჯვებისათვის. მას ჯერ კიდევ სჭირდება დრო. სუპერ გუნდად ჩამოსაყალიბებლად.

მატჩი „ლაციოს“ შეტევებით დაიწყო. მათი თამაშის მონახაზი მარტივი იყო. რონალდოს მჭიდროდ მეურვეობდა ორი მცველი. განაპირა მცველები ფლანგებს კეტავდნენ. დანარჩენ ფეხბურთელებს კი მოწინააღმდეგე გუნდის კარის დალაშქვრა ევალებოდათ, მაგრამ „ინტერმა“ სწრაფად აუღო ალღო ამ ტაქტიკურ ჩანაფიქრს და თამაში სამორინოზე ააწყო. პირველი ბურთიც სწორედ ასეთი თამაშის ნაყოფის შედეგია. მოედნის შუაგულიდან სიმეონემ სამორინო გრძელი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. მანაც არ დაახანა და ბურთი ერთი შეხებით მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა. ანგარიშიც გაიხსნა. იგრძნო რა „ლაციომ“ წაგების საფრთხე, საგრძნობლად გააქტიურდა. მათი შეტევების სული და გული მანჩინი იყო, მაგრამ მანჩინის თავისი პარტნიორები ვერ აყვნენ და მის მიერ წამოწყებულ შეტევებს ლოგიკური გაგრძელებები არ მოჰყოლია. მილანელები თავს აუღელვებლად იცავდნენ და ამასთან ერთად არც რომაელთა მეკარეს ივიწყებდნენ. მშვენივრად მოქმედებდა რონალდო. მისი ფლანგებზე გადაადგილებები თავგზას უბნევდა მცველებს და მისი პარტნიორები თავისუფლდებოდნენ ზედმეტი მეთვალყურეობიდან. პირველ ტაიმში საყურადღებო სხვა არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმი პირველისგან განსხვავებით „ინტერმა“ აქტიური მოქმედებებით დაიწყო. მილანელი ფეხბურთელები მოწინააღმდეგე გუნდს თავისივე ნახევარზე უწყობდნენ პრესინგს. თუმცა ასეთი თამაში ცოტა ხანს გაგრძელდა და პირველი ტაიმის მსგავსად „ინტერმა“ უკან დაიხია. პირველი ტაიმისაგან განსხვავებით, მილანელთა თავდხმსხმელებს უკვე ნახევარმცვლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ და სულ უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდებოდა რონალდოს მცველები რომ ვერ უმკლავდებოდნენ. იგი არამარტო მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ელოდებოდა ბურთს, არამედ თვითონ იწყებდა შეტევებს მოედნის შუაგულიდან. სწორედ აქ გამოჩნდა რონალდოს საფეხბურთო ნიჭი. თავის თამაშით მან დამტკიცა თავისი მაღალი კლასი. რონალდოს არამარტო გოლების გატანა შეუძლია, არამედ უკან დახევა და თამაშის ორგანიზებაც. მეორე ბურთი კი ლამაზი გამოვიდა. იქ ყველაფერი ისეთი სიზუსტით გაკეთდა, კაცი იფიქრებდა გუნდს ვარჯიშზე დამუშავებული კომბინაცია ხომ არ გამოუვიდაო. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მარჯვენა ფრთაზე რონალდოსთან მცველები დაჯარიმდნენ. ჯარიმის შესრულება თვით დაზარალებულმა იკისრა. მის მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი სამორანომ თავის პარტნიორებს დაუგდო. შეაფასა რა შექმნილი სიტუაცია, ძანეტიმ შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი კარების მიმართულებით. იგი მეკარისგან მარცხენა



მაღალ კუთხეში შევარდა. დარტყმა ისეთი ძლიერი გამოვიდა, რომ მეკარემ მხოლოდ თვალის გაყოლება მოასწრო. ამ გოლის შემდეგ ცხადი გახდა მილანელები თამაშს რომ არ დასთმობდნენ. თუმცა „ლაციოს“ რჩებოდა პატარა იმედი მატჩის გადარჩენისა, მაგრამ ინტერი სულაც არ აპირებდა სათამაშო ინიციატივის დათმობას. ყველაფერი კი რონალდოს გოლმა გადაწყვიტა. პირველი გოლის მსგავსად მოედნის ცენტრიდან გრძელი გადაცემით ბრაზილიელი ვუნდერკინდი ერთიერთზე გავიდა მეკარესთან. მის დონის ფეხბურთელს არ გასჭირვებია მეკარის გვერდის ავლა და ბურთი ცარიელ კარებში შეაგორა. ხელებალმართულმა რონალდომ საბოლოო წერტილი დაუსვა „ლაციოს“ განადგურებას. თამაშმაც ფორმალური ხასიათი მიიღო. უკვე ყველა მიხვდა, რომ წლევანდელი უეფას თასის მფლობელი მილანის „ინტერი“ გახდა.

# ფინალი „გამარჯვების“ დღეს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ფინიშის სწორზე გავიდა. დარჩა ერთი მატჩი გასამართავი. როგორც კალათბურთის მოყვარულებმა იციან ოქროს მედლებისათვის თბილისის „ვითა“ და რუსთავის „აზოტი“ იბრძვიან. ჯერჯერობით ანგარიში მათ შორის ორით ორია ე. ი. გუნდებმა ორ-ორი მატჩი მოიგეს. გადამწყვეტი მესამე თამაში ფაშიზმზე გამარჯვების დღეს 9 მაისს გაიმართება. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ რაც ბოლო მატჩში აზოტმა მინიმალური ანგარიშით დაამარცხა „ვითა“ და შანსი მიეცა ოქროს მედლებისათვის ბრძოლისა.

თამაში ძალზედ დაძაბულად მიმდინარეობდა. უკვე 9 წამზე გოგიბერიშვილმა გახსნა ანგარიში. ვითელებმა უმალ საპასუხო შეტევით უპასუხეს. რუსთაველთა ახალგაზრდა კალათბურთელ ბოისას შეეძლო სამქულიანი სროლით წინ გაეყვანათავისი გუნდი. მეშვიდე წუთამდე მატჩს რუსთაველები ლიდერობდნენ, მაგრამ კოკოლიშვილის ზუსტი სროლის შემდეგ „ვითა“ წინ გადის. ამ პერიოდში ამოქმედდა ტურაშვილი-აბრამიძის დუეტი და ვითელები უკვე სოლიდური ანგარიშით გავიდნენ წინ. როგორც ეტყობა შვიდ ქულიანმა სხვაობამ ვითელებზე ცუდად იმოქმედა და „აზოტის“ რამდენიმე შედეგიანი შეტევის შემდეგ უკვე „აზოტი“ გავიდა წინ. თითქოს გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიანო, აზოტსაც ის მოუვიდა რაც ვითამ გააკეთა რამდენიმე წუთის წინ და ვითელებმა შეძლეს ანგარიშის შემცირება. ცოტა ხანში ანგარიში უკვე საყაიმო გახდა. კიკვიძემ ამ დროს სამქულიანი ჩააგდო და „აზოტი“ პატარა კრიზისიდან გამოიყვანა. მატჩის პირველი ნახევარი აზოტმა 43-49 მოიგო.

ვითამ მეორე ტაიმი სწრაფ ტემპში დაიწყო. კარგად ამოქმედდნენ ვითელთა თავდამსხმელები, კარგად მოქმედებდა ტურაშვილიც. სამქულიანი ტყორცნას ორმოცაძემ გარღვევით მოპოვებული ორი ქულა მიაყოლა და ანგარიში მატჩში მინიმუმამდე შეამცირა. პირველი ტაიმის მსგავსად მეორეშიც იგივე განმეორდა, გადამწყვეტი უპირატესობა არცერთ გუნდს არ მოუპოვებია. ასე გაგრძელდა მეორე ტაიმის ბოლომდე, ხოლო რაც ბოლოს მოხდა ამაზე ღირს შეჩერება. მატჩის ბოლო წამებია, ანგარიში საყაიმოა, რუსთაველები კარგავენ ბურთს და ჯარიმდებიან. „ვითელი“ აბრამიძე ორი ჯარიმიდან ერთს აგდებს. თამაშის დამთავრებამდე 27 წამი რჩება. რუსთავი შეტევაზე გადადის. იქვე ვითელები ჯარიმდებიან და ვანო გოგოლაძე საჯარიმოდან ისიც ერთ ბურთს აგდებს, მეორე სროლის შემდეგ ბურთი მოედანს ტოვებს. მსაჯების გადაწყვეტილებით ბურთი სადავო გდებით შევიდა თამაშში. სადაო ბურთი აზოტმა მოიგო და გოგიბერიშვილი დრიბლინგით შედის ვითელთა საჯარიმოში, ბურთს აწვდის ჯავახაძეს და ისიც აუღელვებლად ათავსებს კალათში.

ამრიგად, აზოტმა მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა და მეხუთე მატჩის გამართვა გარდაუვალი გახდა.

## NEWS NEWS

### სამხრეთ კორეა მსოფლიოს ჩემპიონატისათვის იწყებს მზადებას

სამხრეთ კორეაში მიიღეს გადაწყვეტილება, რათა ქვეყნის დედაქალაქ სეულში ააშენონ სუპერთანამედროვე სტადიონი, რომელზეც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები ჩატარდება. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სამხრეთ კორეის მთავრობა კიდევ ორი პროექტის შესახებ ფიქრობდა, რომლებიც ითვალისწინებდა ოლიმპიური სტადიონის საფუძვლიან რეკონსტრუქციას ან სტადიონ „მონხაკის“ განახლებას. თუმცა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ არჩევანი მაინც ახალი სპორტული სარბიელის მშენებლობაზე შეჩერდა, რადგან უდიდესი ხარჯების მიუხედავად ასეთი გრანდიოზული მშენებლობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გამოიწვევს და მრეწველობის მთელი რიგი დარგების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. მით უმეტეს, რომ ახალი სტადიონის მშენებლობას მხარი დაუჭირა გამოკითხული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. კორეაში კი ფეხბურთი ნომერი პირველი სპორტია.

### პოლონური სპორტის ლეგენდას შეიძლება ციხეში ამოაყოფინონ თავი

სახელგანთქმული პოლონელი მსუბუქი მძლეოსანი ვლადისლავ კომარი სერიოზული საფრთხის წინეშე აღმოჩნდა. სასამართლომ მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა იმის გამო, რომ კომარს პოლონეთში „გაურკვეველი წარმომავლობის“ მანქანები შემოჰქონდა, რომლებსაც ყალბი საბუთები ჰქონდათ. კომარი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და გაასაჩივრა იგი. საქმის განმეორებითი მოსმენა უახლოეს დროში მოხდება.

### უკრაინის ეროვნულმა ნაკრებმა მარცხი განიცადა

უკრაინის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა უკრაინის ოლიმპიეურ ნაკრებთან და დამარცხდა, ანგარიშით 0 - 2. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ნაკრები კიევის დინამოელთა გარეშე თამაშობდა. ნაკრების მწვრთნელმა, იოჟეფ საბომ განაცხადა, რომ ამაში საგანგაშო არაფერია, რადგან მატჩის მიზანს ახალ ფეხბურთელთა გამოცდა წარმოადგენდა. მორიგ შეხვედრას უკრაინის ეროვნული ნაკრები 14-ში გამართავს არგენტინის გუნდთან.

### დონოვან ბეილის უჭირს ავტოკატასტროფის შედეგების დაძლევა

შარშან ოქტომბერში მიღებული მძიმე ტრავმების შემდეგ, რომელიც ძლიერი ავტოკატასტროფით იყო გამოწვეული, ოლიმპიურ ჩემპიონს დონოვან ბეილის უჭირს ჩვეულ ფორმაში შესვლა. მიკხედავად იმისა, რომ მაისის დასაწყისში მან მსუბუქი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის „გრან პრიში“ მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდევაცთავის საყვარელ ასმეტრიან დისტანციაზე, ბეილი უკმაყოფილო დარჩა მის მიერ ნაჩვენები შედეგით (10, 1968). ბეილის განცხადებით იგი ჯერ კიდევ ძალიან შორს დგას სასურველი ფორმისგან. კანადელ სპრინტერს კვლავ აწუხებს ზურგის ძლიერი ტკივილი, რომელიც მან ავტოკატასტროფის დროს დაიზიანა. ამიტომ ბეილი ყოველ დღე ხუთ საათს ატარებს მასაჟისტის მაგიდაზე, რომელიც ცდილობს დაეხმაროს ოლიმპიურ ჩემპიონს ფორმის აღდგენაში. არადა, დასვენება დონოვან ბეილის ნამდვილად არ შეუძლია, რადგან თითოეულ შეჯიბრებაში მხოლოდ მონაწილეობის მიღებისათვის ორგანიზატორები მას დაახლოებით 100 ათას დოლარს უხდიან, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგს აჩვენებს იგი. განა აქ რაიმე დასვენებაზე შეიძლება საუბარი?

### არავითარი სექსი! ფეხბურთი გვიახლოვდება!

ასეთი სათაურების ნახვა შეიძლებოდა გუშინდელ ინგლისურ გაზეთებში. საქმე იმაშია, რომ ინგლისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად 20-დან 34 წლამდე მამაკაცთა 95-მა პროცენტმა დააფიქსირა, რომ ზაფხულში ტელეეკრანებთან ფეხბურთის ცქერა ურჩევნიათ თავისი ოცნების ქალთან ურთიერთობას. ჭეშმარიტად, ინგლისში ფეხბურთი მართლაც ძალიან უყვართ !

### ჩელსიმ მილანელ ვარსკვლავებს დაადგა თვალი

ინგლისური ჩელსი მზად არის რათა იტალიური მილანის სამ ვარსკვლავში, პაოლო მალდინიში, მარსელ დესაიში და იბრაგიმ ბაში 15 მილიონ ფუნტამდე( 25 მილიონი დოლარი) გადაიხადოს. კერძოდ, ინგლისელებს სურთ რათა 6,6 მილიონი ფუნტი გაიღონ იტალიის ნაკრების 29 წლის კაპიტანისთვის, პაოლო მალდინისთვის, ხუთი მილიონი ასევე 29 წლის მარსელ დესაისთვის და 3,3 მილიონი 25 წლის იბრაგიმ ბასთვის. ჯერ-ჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რა პასუხს გასცემს მილანი ინგლისელებს. სამაგიეროდ ფაქტია, რომ იტალიური კლუბის მესვეურები ბარსელონაში იმყოფებოდნენ, სადაც აქტიურ მოლაპარაკებას აწარმლებდნენ კატალონიურ კლუბთან ჰოლანდიელი პატრიკ პლიუვერტის და ბრაზილიელი ლეონარდოს ტრანსფერების შესახებ. ბარსას მწვრთნელი ლუის ვან გაალი სწორედ ამ მოთამაშეთა შეძენით არის დაინტერესებული. ცნობილი გახდა ისიც, რომ მილანი არ აპირებს კონტრაქტის განახლებას თავის იუგოსლაველ ლეგიონერთან, დეიან სავიჩევიჩთან.

### ზეტერბერგი ბელგიის წლის საუკეთესო ფეხბურთელია

შვედი ნახევარმცველი პარ ზეტერბერგი ბელგიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 27 წლის ზეტერბერგმა, რომელიც ანდერლეხტის შემადგენლობაში თამაშობს, თავისი კარიერის მანძილზე მესამედ მოიპოვა ეს საპატიო ტიტული. მან 474 ქულა დააგროვა და საკმაოდ დიდი უპირტესობით გაუსწრო გენკის ხორვატ ლეგიონერს, ბრანკო სტრუპარს (243 ქულა). მესამე ადგილზე ბრიუგეს ვეტერანი ბელგიელი ფეხბურთელი ფრანკ ვან დერ ელსტი გავიდა (179 ქულა).

ზეტერბერგმა აგრეთვე მიიღო „პატიოსანი თამაშისთვის“ დაწესებული პრიზი, ე. წ. **FAIR-PLAY**.

წლის საუკთესო მწვრთნელად კი ბრიუგეს თავკაცი, ერიკ გერეცი მიიჩნიეს.

# არტისტობა უნიღბოდ შეუძლებელია

მეცხრე გვერდიდან

მძულს.

— **როგორ უყურებთ სიყვარულის თავისუფლებას?**

— ჩვეულებრივად, იგი დრომ მოიტანა. რაც დროს მოაქვს, იგი აუცილებელია.

— **თქვენთვის საოცნებო საუკუნე...**

— ყველა საუკუნე კარგია და განუმეორებელი. დრო იმით არის მიმზიდველი, რომ გამეორება არ სჩვევია. ყოველთვის ახალია. განა მეოცე საუკუნე უაღრესად საინტერესო არ არის? მსოფლიო ომები, რევოლუციები, გენიალური ადამიანები პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მწერლობაში. გამაოგნებელი გამოგონებები და აღმოჩენები — თერმობირთვული ენერგია, ელექტრონიკა, კოსმოსში ფრენა, რობოტტექნიკა. მე-20 საუკუნე საოცარი საუკუნეა. ვინც ამ ეპოქაში ცხოვრობს, იგი ბედს არ უნდა ემდუროდეს.

— **რომელია ყველაზე რთული პროფესია?**



— ყველა პროფესია ერთნაირად ძნელია, თუ ადამიანი მას კარგად ფლობს. ადვილი უმეცრებაა.

— **რა რჩევას მისცემდით რძალ-დედამთილს და რა დარიგებას სიძე-სიდედრს?**

— ვერაფერს სანუგეშოს. რძალ-დედამთილი, სიძე-სიდედრი მარადიული და მოურიგებელი კონფლიქტია, იგი მანამ არსებობს, სანამ ადამიანი დადის დედამიწის ზურგზე.

— **ნატვრისთვალი რომ გქონდეთ, რას სთხოვდით?**

— არაფერს! ღმერთი ძუნწია და ნატვრისთვალს არავის აძლევს...

— **კიდევ რისი თქმა გსურდათ?**

— ადამიანს სათქმელს რა გამოულევს, მაგრამ ყველაფერს ერთად ხომ არ იტყვი. ზოგი რამ უნდა შემოინახო.

**ქეთი ჩადუნელი**

# საქმე ეხება საქონლის ქურდობას

**საქართველოს პრეზიდენტს**
**ბატონ ედუარდ შევარდნაძეს**
**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს**
**ბატონ ზურაბ ჟვანიას**
**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს**
**ბატონ კახა თარგამაძეს**

ჩვენ, ოზურგეთის რაიონის სოფლების — გალმა დვაბზუსა და ქვემო ბახვის მცხოვრებლები მოგმართავთ თხოვნით, მიიღოთ ქმედითი ზომები იმ უზნეობის აღმოსაფხვრელად, რომელიც ოზურგეთის რაიონშია დამკვიდრებული. საქმე ეხება საქონლის ქურდობას. ამ მავნე სენმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ რაიონის სოფლებში არ დარჩენილა თითქმის არცერთი ოჯახი, რომლიდანაც საქონელი არ მოეპაროთ. გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე რაიონში 200 ოჯახიდან 500 სული საქონელი დაიკარგა. საქონლის ქურდები ჭრიან მავთულის ღობეებს, არღვევენ გომურის კედლებს და ისე გაჰყავთ პირუტყვი. აქ საქმე [illegible] და არა ქურდებთან, არამედ [illegible] ჯგუფთან. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, როცა სახელმწიფოში გლეხკაცობის შეგნებული ძარცვა მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში ან ხელისუფლებაა უსუსური, ანდა სახელმწიფოს სათავეში მყოფთ გარკვეული მიზნებისათვის ასეთი სიტუაციის შექმნა ხელს აძლევს. აბა სხვაგვარად როგორ ავხსნათ ყოველივე ის საშინელებანი, რაც ჩვენს რაიონში ხდება?

რაც შეეხება ოზურგეთის რაიონის პოლიციასა და მის „სამართალდამცავ" ორგანოებს, ისინი მაყურებლის როლში დგანან, ხოლო საპროტესტო საჩივრის შემთხვევაში დაგვცინიან და ჩვენვე გვემუქრებიან. მაგალითად: 1. საქონლის ქურდებიდან დაზარალებული გალმა დვაბზუეს საშუალო სკოლის პირველი კატეგორიის პედაგოგს თინა ვადაჭკორია-ხანთაძეს, რაიონის პოლიციის უფროსმა ვ. თოიძემ და სამძებრო განყოფილების ხელმძღვანელმა კუკულაძემ არა მარტო სიტყვიერი, არამედ ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. 2. როცა თ. ვადაჭკორია-ხანთაძემ განცხადებით რაიონისა და სამხარეო ადმინისტრაციის ყველა ინსტანციას მიმართა (რა თქმა უნდა უშედეგოდ) პოლიციის ხელმძღვანელობა მას დაემუქრა, თუ საჩივრებს არ შეწყვეტდა, განათლების განყოფილებაზე ზეწოლას მოახდენდნენ და სამსახურიდან დაითხოვდნენ.

ასე გვემუქრებიან იმ დაზარალებულ ადამიანებს, რომლებსაც შვილების მარჩენალი მოგვპარეს. თანაც ჰომერული სიცილით გვეუბნებიან: „თუკი შინაგან საქმეთა სამინისტროში ან მთავრობაში იჩივლებთ, ჩვენ მივწერთ, რომ: „საქმე აღძრულია" — ამით ყველაფერი დამთავრდება, ტყუილა ნუ წვალობთ, თქვენი საჩივარი ჩვენვე დაგვიბრუნდება განსახილველად". აღნიშნულთან ერთად იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქონლის ქურდობის 200 შემთხვევიდან ჯერჯერობით გახსნილი არცერთი მათგანი არ არის, ხოლო მოძალადეთაგან მოსახლეობის დამცავი მექანიზმი შეგნებულადაა მოშლილი, გვაფიქრებინებს, რომ რაიონის პოლიცია საქონლის ქურდებთანაა შეკრული და მას ამ დანაშაულებრივ ქმედებაში უმაღლესი ეშელონები მფარველობს. ისეთი უკანონობა და მშრომელი გლეხკაცების ღირსების ფეხქვეშ გათელვა, რასაც ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლება და მისი „სამართალდამცავი" ორგანოები ჩადიან, დღევანდელ ცივილიზებულ ეპოქაში ადამიანის ცნობიერებისათვის ძნელად წარმოსადგენია.

ჩვენ, ოზურგეთის რაიონის სოფლების გალმა დვაბზუსა და ქვემო ბახვის 375 კომლი მოვითხოვთ: 1. სასწრაფოდ გამოიყოს სპეციალური კომისია აღნიშნული საკითხის შესასწავლად. კომისიამ მუშაობა დაიწყოს ჩვენგან, საგაფიცვო კომიტეტიდან და არა რაიონის პოლიციის ხელმძღვანელობიდან, რომლებსაც დოკუმენტაცია ყალბად აქვთ გაფორმებული. 2. დაუყოვნებლივ აღდგეს რაიონში წესრიგი. მოგვეცეს საშუალება, ჩვენს მიერ გამოზრდილი პირუტყვი შვილებს მოვახმაროთ. 3. უმოქმედობისა და სამართლის გამრუდებისათვის პასუხი მოეთხოვოს რაიონის პოლიციის ხელმძღვანელობას. 4. გთხოვთ, დროულად მოგვხედოთ, ჩვენი ოჯახების დანაკარგის ამოსაღებად იძულებულს ნუ გაგვხდით უკიდურეს ზომებს მივმართოთ და ვისაც შეგვიძლია, იარაღს მოვკიდოთ ხელი. ოზურგეთის რაიონის სოფლების გლეხკაცობასა და ინტელიგენციას საქონლის ქურდების მფარველ თოიძესა და კუკულაძეს ნუ ანაცვალებთ. ოზურგეთის რაიონს თქვენი უმოქმედობით შეგნებულად ნუ გადააქცევთ აბრაგების კუთხედ.

ჩვენს მიერ დასმული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩავთვლით, რომ დღევანდელი მმართველი პარტიისაგან და ხელისუფლებისაგან ჩვენ დაუცველნი ვართ, რომ პარლამენტის არჩევნებში მოქალაქეთა კავშირისადმი მხარდაჭერით ჩვენი შვილების წინაშე გამოუსწორებელი დანაშაული ჩავიდინეთ.

**ოზურგეთის რაიონის სოფლების — გალმა დვაბზუსა და ქვემო ბახვის მცხოვრებლები (375 კომლი).**

ხელმოწერები განცხადებას თან ერთვის.

**P.S. საქართველოს ხელისუფლების ყველა ოპოზიციურ პარტიას მოგმართავთ თხოვნით ყურად იღოთ ჩვენი უმძიმესი გასაჭირი, ზეწოლა მოახდინოთ არსებულ ხელისუფლებაზე და აღნიშნულ განცხადებაში დასმული საკითხი ფართო მსჯელობის საგნად აქციოთ.**

ოზურგეთის რ-ნის გალმა დვაბზუსა და ქვემო ბახვის საგაფიცვო კომიტეტის სახელით

**თინა ვადაჭკორია-ხანთაძე**
**გიორგი მუკბანიანი**
**სულ 54 ხელმოწერა**

# მსოფლიოს გარშემო

## ჩინეთი თავისით ფინანსდება

ჩინეთი აპირებს პირველი ჩქაროსნული რკინიგზის მშენებლობის დაწყებას 2000 წელს. მისი მიმართულებაა პეკინი-შანხაი, სიგრძეა 1300 კმ, სიჩქარე იქნება 250 კმ-სთ. მთელი ინვესტიცია მოიცავს 12,05 მილიარდ დოლარს. საყურადღებოა, რომ ამ თანხის ძირითადი ნაწილი იფარება შინაური ფონდების მიერ.

## ირანის საქმე კარგად მიდის

იტალიური სანავთობე ფირმა „აჯიპი" წარმატებით აწარმოებს ძიებას ირანის სახმელეთო და საზღვაო ზოლში, ორივე მხარე კმაყოფილია, რომ აღმოჩნდა დარხოვეინში ახალი დიდი მარაგი, რომელიც 18 მილიარდ ბარელად განისაზღვრება. მალაიზიის ფირმებმა მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, 2 მლრდ. დოლარის ინვესტირება გადაწყვიტეს ირანულ ნავთობში.

## სისტემის ღიაობაც სახიფათოა

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის განცხადებით ევროპა-აზიის ჟურნალისტთა მეორე შეკრებაზე ლონდონში (6.1.97), მსოფლიოს დღევანდელ ფინანსურ სისტემას დიდი „სიმყიფე" ახასიათებს. „რაც უფრო ღია ხდება საერთაშორისო საფინანსო სისტემა, მით უფრო დგება მისი სიმყიფის პრობლემა" — თქვა მან.

## 76 წლის ასაკში

ცნობილი ასტრონავტი, ამჟამად სენატორი, ჯონ გლენი, რომელიც ამჟამად 76 წლისაა, ვარჯიშობს გაისად „შატლით" გასაფრენად. ამას წინათ მას ამ თემაზე ესაუბრა ბილ ქლინტონი, რომელმაც „ნასა"-ს (ასტრონავტიკისა და კოსმონავტიკის სამმართველოს) ობიექტები მოინახულა. პრეზიდენტისა და სენატორის საუბარი, სხვათა შორის, შეეხო გლენის მომავალი გაფრენის წვლილს სიბერის პრობლემის ექსპერიმენტულ შესწავლაში. „ჩვენ უფრო დიდხანს ვცხოვრობთ, ვიდრე ოდესმე, და ჩვენ გვმართებს უფრო ჯანმრთელნი ვიყოთ, ვიდრე ოდესმე" — თქვა პრეზიდენტმა. „ეს მოითხოვს არა მხოლოდ ჩვენი ჯანმრთელობის შენახვას, არამედ მუდმივ შეტევასაც ჩვენს ფანტაზიაზე. ჩვენი ვალია, რაც შეიძლება მეტი ვიცოდეთ დაბერების პროცესის მექანიზმებზე. გვმართებს აგრეთვე იმაზე ვიფიქროთ, რომ ადამიანებს მისაბაძი მაგალითები მივცეთ, — თუნდ ისეთი პიროვნებების სახით, რომლებიც 70-ს გადაცილებულნი კიდევ ბედავენ, რომ თამამ ოცნებებს აჰყვნენ. მე მგონი, რომ ყველამ — კოსმოსში გამფრენებმაც და არ გამფრენებმაც — უნდა გამოვიყენოთ ეს გაკვეთილი."

## შიმშილობას პაპიც ჰბაძავს

პაპმა — იოანე პავლე II-მ გადაწყვიტა ერთი დღის შიმშილობა (25.II) იმათ პატივსაცემად და მხარდასაჭერად, ვინც შიმშილმა იმსხვერპლა ჩრდილოეთ კორეაში. ეს ღონისძიება მოაწყო სამხრეთ კორეაში მოქმედმა საერთაშორისო საქველმოქმედო ჯგუფმა, რომელსაც სეულის კათოლიკე კარდინალი უდგას სათავეში.

## ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ეგვიპტეში

სამხრეთ ეგვიპტეში აღმოჩენილია 9000 წლის ხნოვანების დასახლება. დღეისათვის გათხრილია 18 „სოფელი". როგორც მოპოვებული მასალები მოწმობს, აქ მისდევდნენ მესაქონლეობას. არის კერამიკული წარმოების ნიშნები. გათხრილი დასახლება უძველესთაგანია მსოფლიოში.

## პორტუგალია ძველ კოლონიას „არ ივიწყებს"

პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა გუტერასმა განაცხადა 5 აპრილს, რომ მისი მთავრობა 6 მილიონი დოლარით დაეხმარება აღმოსავლეთ თიმორის (ინდონეზიაში) იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, „რომლებსაც არ ჰქონიათ მჭიდრო კავშირი სუჰარტოს მთავრობასთან." ეს განიხილება, როგორც პორტუგალიის ყოფილი კოლონიისადმი ყურადღებით ინდონეზიის მთავრობის სტაბილიზაციისათვის საფრთხის შემქმნელი ნაბიჯი.

# ახალი ამბები

## ვლასოვის ბედი კვლავ უცნობია

ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვარზე გატაცებული რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენლის, ვალენტინ ვლასოვის ბედი კვლავ უცნობია. ფედერალური ცენტრის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა დღემდე ვერ მოახერხეს ვლასოვის ვერც ადგილსამყოფელის დადგენა, ვერც მისი გამტაცებლების ვინაობის გამორკვევა.

გატაცების ფაქტთან დაკავშირებით თითქმის ყველას ერთი აზრი აქვს - გატაცება მოხდა პოლიტიკური მიზნებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამტაცებლებს ვლასოვის გათავისუფლებისათვის გამოსასყიდის მიღება ან მათ დაპატიმრებული თანამზრახველზე გაცვლა სურთ, გატაცებულის თანამდებობა ამ მოვლენას გარკვეულ პოლიტიკურ ელფერს აძლევს.

## ბურიატიის ბუდისტები კვლავ ღელავენ

დღეს ბურიატიის დედაქალაქში ბუდისტი ბერებისა და სამოქალაქო პირების მიტინგი გაიმართა. მისმა მონაწილეებმა იმათი დასჯა მოითხოვეს, ვინც აშშ-ში დაგეგმილ გამოფენაზე ტიბეტური მედიცინის ატლასის გატანისათვის ძალოვანი მეთოდების გამოყენების სანქცია გასცა.

ბურიატიის სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, მიტინგში 500-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. აქციის მონაწილენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვდნენ. 5 მაისს ღამით შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმებმა ტიბეტური მედიცინის ატლასი გაიტანეს აშშ-ში გასაგზავნად. ამასთან მათ შეავიწროვეს მართლმადიდებლური ეკლესიის შესასვლელთან თავმოყრილი 50-მდე ადამიანი, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ ატლასის გატანის გამო.

დღევანდელი მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ადამიანის უფლებების დამცველი დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ 5 მაისს მომხდარი ინციდენტის გამოძიება მოითხოვეს. დღესვე ულან-უდეში მუშაობა დაიწყო რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ.

## მორიგი გატაცება დაღესტანში

დაღესტანში კვლავ გაიტაცეს ადამიანი. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე სამსახურის ცნობით, გუშინ ხასავიურთში უცნობმა პირებმა ძალით ჩასვეს მანქანაში და უცნობი მიმართულებით წაიყვანეს სახალხო მოსამართლის 15 წლის ვაჟი.

დანაშაული დღის ნათელ პერიოდში მოხდა. არიან გატაცების ფაქტის მოწმეები. მაგრამ დამნაშავეთა ძებნამ ჯერ-ჯერობით შედეგი ვერ გამოიღო. გატაცების ფაქტის მოტივებად ასახელებენ როგორც გამოსასყიდის მიღების ბანალურ სურვილს, ისე მოსამართლეზე მისი პროფესიონალური მოღვაწეობისას ზეწოლის მოხდენის მცდელობას.

## პრიმაკოვის ვიზიტი დუბლინსა და ლონდონში

დღეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი პრიმაკოვს ირლანდიის პრეზიდენტი მერი მაკალისი და პრემიერ-მინისტრი ბერტი აჰერნი მიიღებენ.

რუსეთის უმაღლესი საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი დუბლინში გუშინ ჩავიდა ოფიციალური ვიზიტით. ვარაუდობენ, რომ ირლანდიის მთავრობის მეთაურთან გამართულ მოლაპარაკებებზე განიხილავენ აჰერნის მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტის საკითხებს. ირლანდიის პრემიერი მოსკოვში ჩასვლას მიმდინარე წლის შემოდგომაზე აპირებს. გუშინ კი ევგენი პრიმაკოვმა მოლაპარაკებები გამართა ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრ დევიდ ენდრიუსთან.

დღესვე საღამოს პრიმაკოვი ლონდონში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 8 განვითარებული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების სამუშაო შეხვედრაში. მინისტრებმა უნდა მოამზადონ დოკუმენტაცია ამ სახელმწიფოთა ლიდერების დასკვნითი შეხვედრისათვის, რომელიც 15-17 მაისს ბირმინჰემში გაიმართება. ლონდონში დაგეგმილი მოლაპარაკებების ფინალურ სტადიაზე საგარეო საქმეთა მინისტრებს ფინანსთა მინისტრებიც შეუერთდებიან.

## ახალი აბრეშუმის გზა რეალობაა

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ბაქოში ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია „ევროპა - კავკასია - აზიის" სატრანსპორტო დერეფნის განვითარების პრობლემებზე.

ამ შეხვედრაზე პროექტის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურებმა ხელი უნდა მოაწერონ ფართომასშტაბიან შეთანხმებას ამ მაგისტრალზე ტვირთების ტრანზიტის გაადვილების შესახებ. დამკვირვებელთა თქმით, „ლაპარაკია არც მეტი, არც ნაკლები, ახალი „დიდი აბრეშუმის გზის" შექმნაზე".

## ს ა ტ ი რ ა

### ილია ბარამიძე

# ბოლშევიკის საზეიმო გამოსვლა ხალხის წინაშე

*(ფრჩხილებში ქვეტექსტები და კომენტარები)*

ამხანაგებო! *(ვაი თქვენს პატრონს),*
პარტიის ცეკას *(ჩეკას)* სახელით
მოგესალმებით და რასაც ნატრობთ,
აგსრულებოდეთ *(გხრავდნენ ძაღლები).*
თქვენთვის ვაშენებთ კომუნიზმს *(ჩვენთვის)*
და მის კონტურებს თვალნათლივ ვხედავთ.
ჩვენი მიზნები თქვენს მიზნებს ერთვის
*(სუყველას მალე გიტირებთ დედას).*
მუდამ ვიქნებით მკაცრნი ბრძოლაში
კაპიტალიზმთან *(გვაქვს რკინის ფარდა),*
არ გავახარებთ ნაციონალიზმს
ჩვენს ქვეყანაში *(რუსულის გარდა).*
ჩვენ ისტორიის ვმართავთ კარუსელს,
გიშენებთ კოშკებს *(ქოხებს ალიზის)*
დიდ ძმურ ოჯახში *(უნდა გარუსდეთ),*
უნდა ვიაროთ ამ მართალი გზით.
მომავლისაკენ, სირბილით, ი-ა-არ!
გვინდა, ყვავილებს *(მიწას)* გაყრიდეთ.
ლენინს დიდება *(სიფილისიანს)!*
დიდება სტალინს *(ერის გამყიდველს)!*
ჩვენს წითელ დროშას *(კრუპსკაიას ნიფხავს)*
ძირს ნუ დაუშვებთ *(როგორც ქნა კამომ),*
დე, ამაყობდეთ *(არავინ გკითხავთ)*
კომუნისტური მომავლის გამო!
ვაშა, ხალხო! ვაშა! ურა!
*(გაყიდულო რვა შაურად).*


## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89



*გამოიწერეთ გაზეთი*

## „საქართველო"

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.



## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო" თავისი ნომრის ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, გაზეთ „საქართველოს" რედაქცია.





## გიწვევთ!

გაზეთ „საქართველოს" სარეკლამო განყოფილება სამუშაოდ გიწვევთ 19-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, ტელ: 93-18-41, 93-20-36


## ჩაინ-ვორდი



1-3. ისტორიული სოფელი სამხრეთ საქართველოში; 2-4. ლექსთმცოდნეობის დარგი; 4-6. დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი თანამდებობის პირი — რაიმე დარგის სპეციალისტი; კონსულტანტი; 5-7. ფრანგი პოეტი (XVI საუ.); 7-8. ტრიბუნის თანაშემწე ძველ რომში; 8-10. სალებავი ნივთიერება; 9-12. რუსი რეჟისორი, ავტორი გახმაურებული ფილმისა „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება"; 11-13. საჩუქარი, საზოძვარი ძველ საქართველოში; 13-14. ქალაქი — იაპონელთა სალოცავი ადგილი; 14-15. საქონლის, განძეულობის და მისთანათა შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა რომელიმე სახელმწიფოში; 15-16. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრის — ედ. მანეს ნამუშევარი; 16-17. იაპონელი მწერალი; 17-18. ფართო შესასვლელიანი პატარა კარსტული მღვიმე ან გამოქვაბული თაღოვანი ჭერით; 18-20. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტი ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდგომ; 19-22. საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მიუღებლობა, ყველაფრის ხელაღებით უარყოფა; 21-23. ბიბლიური სიუჟეტის მქონე დრამა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; 23-24. აშშ-ის ზოგი რაკეტმატარებლის უკანასკნელი საფეხური; 24-36. ერთუჯრედიანი ცხოველი; 25-27. ქართველი პოეტი, დრამატურგი; 27-29. ბრალდებულის მიერ ბრალდების, ანდა მოპასუხის მიერ სასარჩელო მოთხოვნის ხელაღებით უარყოფა ძველ ქართულ სასამართლო პროცესში; 28-30. XIX საუკუნის ცნობილი იტალიელი მსახიობი, ჰამლეტის როლის საუკეთესო შემსრულებელთაგანი; 30-31. ესპერანტოს ვარიანტი; 31-32. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 32-33. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი.

შეადგინა გიორგი გასიტაშვილმა

## განცხადებები

ვიგირავებ ბინას 1000 დოლარის ფარგლებში. სასურველია, ნაძალადევის რაიონში. დარეკეთ: 93-18-41 მანანა

---

იყიდება ბრინჯაოს 10-სანთლიანი ბროლის ჭაღი. ფასი 700 ლარი. ტ: 32-10-95

---

იყიდება ელექტროხორცსაკეპი მანქანა (რუსეთის; ახალი). ფასი 100 ლარი. ტელ: 32-10-95

---

იყიდება 3-ოთახიანი კუთხის ბინა ახალი კაპიტალური რემონტით. საერთო ფართი 80 კვმ. ტელეფონით, გარაჟით, 2 სარდაფით. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ნუცუბიძის ქ. 211, მე-4 კორპ. 1 სად. მე-6 სართ. ბინა 16. ტ: 32-25-83

---

იყიდება პიანინო „უკრაინა" (შავი). ფასი 250 ლარი. ტელ: 32-25-83

---

ვიყიდი ნოხს. ზომა 3,5X3 ან 3X2,5. ტელ: 32-25-83

---

იყიდება ბახტრიონის ქუჩაზე, მეტრო „პოლიტექნიკურთან" 2,5-ოთახიანი ბინა მიშენებით, 44 კვმ, მე-3 სართ. ფასი 30000 დოლარი. ტ: 39-26-39

---

იყიდება ან იცვლება 4-ოთახიანი თუხარელის პროექტის ბინა 15 სართულიანის (მე-14 სართულზე) ვაჟა ფშაველას მე-5 კვარტალში, კომერციულ ფართზე ან 1-2 ოთახიან ბინაზე (1 სართულზე). ტ: 39-26-39

---

იყიდება ან იცვლება საბურთალოზე მდებარე მიწის ნაკვეთი, ფართი 1000 კვმ 2 საც. სახლი — კოტეჯით, დამტკიცებული პროექტით. 1 სართულზე 1-ოთახიან ბინაზე ან ახალ მსუბუქ ავტომანქანაზე. ტ: 39-26-39

---

ვყიდი 4-ოთახიან ლვოვის პროექტის ბინას, ორი სათავსოთი, აივნით და ლოჯით. ბინა სარემონტოა. ფასი 13000 დოლარი. ტ: 23-40-05

---

ვიწვევთ სამუშაოდ სერიოზულ, კულტურის სფეროში ნამუშევარ ორგანიზატორული უნარის მქონე ადამიანებს წამყვან თანამდებობაზე. საკონ. ტელ: 877-41-05-70, 899-50-69-86. ტელ: 74-25-50 საღამოს 96-19-69

---

ვყიდი გერმანულ კომპაქტდისკების ნაკრებს (50 ცალი). არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და ქანთრის წარმომადგენელთა ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. სულ 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი. ტ: 61-71-43 ნათია

---

იყიდება სასწრაფოდ, იაფად საბურთალოს ქუჩაზე, იპოდრომთან, მე-4 სართულზე, არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ლოჯით, მიშენებული 40 კვმ. ბინა ახალი პროექტით, 5-ოთახნახევრიანია. ოთახები იზოლირებულია, კედელში სათავსოებით, აქვს სარდაფი, მანქანის სადგომი. საწყისი ფასი 32000 დოლარი. ტელ: 72-35-66 დოდო ან ნათია

---

იყიდება კერძო ბინა, 4-ოთახიანი, ყველა სათავსოთი, სარდაფით, 100 კვმ, არის დაშენების საშუალება, მუდმივი დენით, ტელეფონით. ფასი 35000 დოლარი. მისამართი: კარგარეთელის ქ. 2ა. ტელ: 95-79-46 ქეთო

---

იყიდება 4-ოთახიანი სარემონტო ბინა ნუცუბიძის მე-2 პლატოზე, ავტობუსის გაჩერებასთან, აქვს ტელეფონი, სარდაფი, მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ტელ: 32-11-61

---

იყიდება საკუთარი სახლი გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 41-32-84 თემური

---

იყიდება ვაჟა ფშაველას პრ. 2-ოთახიანი ბინა. მისამართი: მე-7 კვარტალი, მე-2 კორპუსი, I სადარბაზო, ბინა 45, მე-2 სართული. საერთო ფართი 44 კვმ. ტელ: 30-79-92 ფასი შეთანხმებით.

## ლევან ჩაჩხიანის ხსოვნას



### ვინც ღმერთს უყვარს, ისინი ადრე კვდებიანო

შავად გაგვითენდა ვარდობისთვე, ლევან! ოცდაოთხი წელიწადი მიითვალე მხოლოდ. ეს რა უცნაური, ამაზრზენი განგება მოგიწყო ბედისწერამ? რა იქნა შენი მფარველი ღმერთი, რად გაგიმეტა, რად დააობლა შენი ოჯახი? ვერ ვეგუებით იმ აზრს, რომ შენ აღარ იქნები. ძნელია, ძნელი უშენობა ლევან.

დღეს ცრემლითა და სევდით არის სავსე ოდესღაც ბედნიერი სახლი. რა ვუთხრათ დარდისგან გათანგულ შენს მშობლებს? რითი ვანუგეშოთ შენი და? შენ არა მარტო შენი ოჯახი დააობლე, არამედ შენი ნათესაობაც, შენი სამეგობრო და შენი უბანი.

სიყვარულისთვის დაიბადე ამქვეყნად, ლევან და სიყვარული იყო შენი ბედისწერაც. გვაკლიხარ, ლევან.

ნაადრევად დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე, მაგრამ შენი სახელი და ხსოვნა მარადიული იქნება. დაე, მსუბუქი იყოს ის მიწა, რომელიც შენს წმინდა ცხედარს დაეყრება.

ნანა ჩეგიანი


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444